საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 81 (360) ხუთშაბათი, 14 მაისი, 1992 წელი ფასი 1 მანეთი

## ლიახვის ხეობაში პრაქტიკულად ყველა ქართულ სოფელს ალყა შემოარტყეს ოსმა ექსტრემისტებმა, კვლავ დაძაბული ვითარებაა მთელ რეგიონში. სამაჩაბლოელი ლტოლვილნი მტკიცედ მოითხოვენ, განხორციელდეს გადამწყვეტი ღონისძიებანი ქართული სოფლების საიმედო დაცვის უზრუნველსაყოფად

### წუხელ შევიტყვეთ

### პრესცენტრის ცნობა

ცხინვალის რეგიონში კვლავ დაძაბული ვითარებაა. 13 მაისს დღისით შედარებით სიმშვიდე იყო, ცხინვალის მხრიდან ხანგამოშვებით ესროდნენ ერგნეთსა და ნიქოზს. საღამოს, დაახლოებით 18 საათზე სოფლების ერედვისა და ფრისის მოსახლეობას შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება. დაიწვა ათობით საცხოვრებელი სახლი. ორივე მხრიდან არის მსხვერპლი და დაჭრილები. დაიღუპა 7 და დაიჭრა 12 ერედველი, აქედან 2 მძიმედ არის დაჭრილი. ამ დროს ცხინვალის მხრიდან რაკეტებსა და მძიმე არტილერიას უშენდნენ ერგნეთსა და ნიქოზს.

იმავე დღის საღამოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, მილიციის გენერალ-მაიორი რობინზონ თუშურაშვილი შეხვდა ცხინვალში დისლოცირებული რუსეთის არმიის ვერტმფრენავების პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ ალექსი ვოსტრიკოვს და პროტესტი განუცხადა იმის გამო, რომ 12 მაისს ღამით ორი ვერტმფრენავიდან ცეცხლი დაუშინეს თამარაშენისა და აჩაბეთის მშვიდობიან მოსახლეობას და დაჭრეს 14 კაცი. მინისტრის პირველმა მოადგილემ კატეგორიულად მოსთხოვა სამხედროებს დაიცვან დაპირებული სრული ნეიტრალიტეტი.

ღამემ შედარებით მშვიდად ჩაიარა. თუმცა ცხინვალის მხრიდან პერიოდულად ესროდნენ ერგნეთსა და ნიქოზს, მაგრამ არავინ დაღუპულა და დაჭრილა.

არის ინფორმაცია, რომ წუხელ ვლადიკავკაზის მხრიდან როკის გვირაბისა და ჯავის გამოვლით ცხინვალში შემოვიდა მძიმე ტექნიკა — 20-25 ტანკი.

ქართულ სოფლებში დგანან საქართველოს მილიციისა და ეროვნული გვარდიის ნაწილები, რომლებიც სათანადო ღონისძიებებს ახორციელებენ მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

13 მაისს დილის 9 საათზე ოსმა ექსტრემისტებმა რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორით შეუტიეს სოფელ ერედვს. მილიციისა და სოფლის მოსახლეობის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ თავდამსხმელებმა უკან დაიხიეს. დაიღუპა სოფლის ერთი მცხოვრები, დაიჭრა მილიციის ერთი თანამშრომელი.

ცხინვალის რეგიონის სხვა ადგილებში მეტნაკლები სიმშვიდე იყო.

### საგანგებო წესები ტყიბულში

ტყიბულში გართულდა კრიმინოგენული სიტუაცია, მოსახლეობა სამართლიანად მოითხოვს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას. ამიტომ ქალაქ ტყიბულისა და მისი ზონის ტერიტორიაზე ქალაქის სამხედრო კომენდანტის მურად მოდებაძის ბრძანებით, მიმდინარე წლის 14 მაისიდან ერთი თვით შემოღებულია საგანგებო მდგომარეობის წესები. სახელმწიფო და მოქალაქეთა პირადი ქონების საიმედო დაცვისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკური ღონისძიებების უზრუნველსაყოფად 18 საათიდან 6 საათამდე შინაგან საქმეთა ტყიბულის განყოფილების მუშაკები და ეროვნული გვარდიის ტყიბულის ბატალიონის მებრძოლები ერთობლივად აწყობენ რეიდებს, ხოლო 23 საათიდან 6 საათამდე სათანადო ნებართვის გარეშე აიკრძალა მოქალაქეთა ქუჩაში გამოსვლა და კერძო ტრანსპორტის მოძრაობა.

**გივი გეწაძე.**

### ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

**ფაქტი მოვლენა კომენტარი**

### საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

## კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების იმედით

ცხინვალის რეგიონში ვითარების საკითხის განხილვა გათვალისწინებული არ ყოფილა 12 მაისს გამართული საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მორიგი სხდომის დღის წესრიგით. მაგრამ იგი სწორედ ამით დაიწყო, რადგან წინა დღით რეგიონში მომხდარმა ოსი ექსტრემისტების შეიარაღებულმა თავდასხმამ საქართველოს სოფლებზე მკვეთრად გაამწვავა დაპირისპირება, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება.

სახელმწიფო საბჭომ მოისმინა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილის, ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის სანდრო კავსაძის ინფორმაცია. გააანალიზა რა ცხინვალის რეგიონიდან რუსეთის შინაგანი ჯარების წასვლის შემდეგ შექმნილი სიტუაცია, მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს მთავრობა საქართველოსა და ოსეთის მხარეებს შორის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისთვის, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ მოუტანია სასურველი შედეგები. კერძოდ, ითქვა: ლიახვის ხეობაში პრაქტიკულად ყველა ქართული სოფელი ალყაში მოაქციეს ოსმა ექსტრემისტებმა, რომ კვლავ დაძაბული ვითარებაა მთელ რეგიონში. მათ მიერ განხორციელებულმა შეიარაღებულმა თავდასხმებმა სოფელ ერგნეთზე, შემდეგ კი ნოქოზზე, აჩაბეთზე, თამარაშენზე, რომელთა დროს გამოიყენეს ჯავშანტექნიკა და ვერტმფრენები, არა მარტო მეტად გაამწვავა ვითარება, არამედ გამოიწვია უმძიმესი შედეგები: დაიღუპა ერთი და დაიჭრა თოთხმეტი კაცი.

ბუნებრივია, ესოდენ ექსტრემალურ სიტუაციაში სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი იძულებული გახდა მიეღო ოპერატიული ზომები, რათა არ დაეშვა კონფლიქტის ესკალაცია. იმავე დღეს თავის რწმუნებულად ამ რეგიონში მან დანიშნა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე რობინზონ თუშურაშვილი, რომელიც ადგილზე მისვლისთანავე სათავეში ჩაუდგა სპეციალურ შტაბს, ოსი ექსტრემისტების თავდასხმისაგან ქართული სოფლების დასაცავად კი იქ გაგზავნა მილიციის რაზმი. უკვე დილისთვის მოხერხდა ექსტრემისტთა იერიშების მოგერიება, მაგრამ როგორც სანდრო კავსაძემ, ისე სხდომაზე გამოსულმა ცხინვალის რეგიონის პრობლემათა სამთავრობო კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა რომან გვენცაძემ და სხვებმა განაცხადეს დაძაბულობა გრძელდება. შეშფოთებით იყო გამსჭვალული სხდომაზე წაკითხული ცხინვალის რეგიონის ლტოლვილთა განცხადებაც, რომელიც შეიცავს კატეგორიულ მოთხოვნას განხორციელდეს გადამწყვეტი ღონისძიებანი ქართული სოფლების საიმედო დაცვის უზრუნველყოფისათვის, რეგიონში წესრიგის დამყარებისათვის.

იმაზე, თუ რა სერიოზულ სიძნელეებს აწყდება საქართველოს მთავრობა ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების დასახული პროგრამის რეალიზაციის დროს, ილაპარაკა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თენგიზ სიგუამ. აღნიშნა რა, რომ კონფლიქტის ახლანდელი გამწვავება დესტრუქციული ძალების წინასწარ დაგეგმილი აქციის ნაწილია, მან ცალსახად თქვა, რომ იგი უნდა გადაწყდეს სწორედ მშვიდობიანი გზით, კონსტრუქციული დიალოგის გზით.

ეს აზრი განავითარა თავის გამოსვლაში სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ. საჭიროა, თქვა მან, ყოველი ღონე ვიხმაროთ, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა მოლაპარაკების დაწყებული პროცესის განგრძობისათვის, პრობლემის პოლიტიკური გადაჭრისათვის. აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, ეს პროცესი ჯერჯერობით ნელი ტემპით მიმდინარეობს. მაგრამ ვერავინ ვერ იფიქრებდა, ამასთან გულუბრყვილობაც იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ კონფლიქტი, რომელიც ესოდენ დიდხანს გრძელდებოდა, ასე სწრაფად ჩაქრებოდა. რა თქმა უნდა, ხალხისთვის მთავარია დავიცვათ მოსახლეობა, არ დავუშვათ ახალი მსხვერპლი. მაგრამ ამისთვის საჭიროა დიდი და გულმოდგინე მუშაობა, საქმის ვითარების ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი, რათა დღის წესრიგიდან მოიხსნას ეს მწვავე პრობლემა, თანამიმდევრულად ვიაროთ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზით. სწორედ ამ მიზანს ისახავენ კიდეც ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი და ცხინვალის რეგიონის პრობლემათა სამთავრობო კომისია.

სახელმწიფო საბჭომ განიხილა საქართველოს — ყოფილი სსრ კავშირის ერთ-ერთი მემკვიდრის საგარეო ვალების საკითხი. როგორც საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ სოსო ცისკარიშვილმა აღნიშნა, ეს ვალი შეადგენს მილიარდ 812 მილიონ დოლარს — ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელი საგარეო ვალის 1,62 პროცენტს. ითქვა, რომ საქართველოს წინანდელმა მთავრობამ სსრ კავშირის ყოფილი რესპუბლიკების სუვერენულ სახელმწიფოებსა და „შვიდეულის ჯგუფს" შორის 1991 წლის ნოემბერში გამართული მოლაპარაკების შედეგებით ხელი მოაწერა ხელშეკრულებას სსრ კავშირის საგარეო სახელმწიფო ვალებისა და აქტივების უფლებამონაცვლეობის შესახებ. მაგრამ, თუ საქართველო ხელს არ მოაწერს მემორანდუმს სოლიდალური პასუხისმგებლობის შესახებ, მაშინ მას აღარ ექნება შესაძლებლობა მიიღოს კრედიტები და სერიოზულ სიძნელეებს წააწყდება მსოფლიო გაერთიანებასთან ურთიერთობის განვითარებაში.

ამ საკითხის განხილვისას გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი, მაგრამ საბოლოო ანგარიშით სახელმწიფო კომიტეტის წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა ამ ვალის ცნობას.

რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის წარდგინებით სახელმწიფო საბჭომ იურიდიული ძალის არმქონედ ცნო აფხაზეთის რესპუბლიკის მიწის კოდექსის პროექტი. გაუქმებულია აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 24 მარტის დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის იურისდიქციასა და გამგებლობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური ქვემდებარეობის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გადაცემის შესახებ".

მიღებულია გადაწყვეტილება შეიქმნას კონსტიტუციური რეფორმის მოსამზადებელი საინიციატივო ჯგუფი.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

## ეს საქართველოს მიწა-წყალია, ამაში მერავინ შეგვედავება...

— ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ ღამით, 13 მაისს, ოსი „ბოევიკების" შეიარაღებული თავდასხმით დაზიანებულ ერედველებს მიღებაზე რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში.

ერედვში იმ ღამეს შეტაკებისას ოცამდე ახალგაზრდა დაიჭრა, შვიდი მათგანი, რომლებიც ცეცხლის ხაზიდან ვერ გამოიყვანეს, თავდამსხმელებმა ჯერ კიდევ ცოცხლები დაწვეს. გამწარებულმა ერედველებმა ძლივს ჩამოაღწიეს თბილისამდე. ისინი სახელმწიფო საბჭოს შენობას მოადგნენ რუსთაველის პროსპექტზე და მოითხოვეს ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრა.

გავესაუბრეთ ზოგიერთ მათგანს:

— თავდასხმა მაშინ მოხდა, როცა ჩვენი და მეზობელი სოფლებიდან ქართული გვარდიის ნაწილები გაიყვანეს, — თქვა ამ სოფლიდან გამოხიზნულმა ლოზანა გნოლიძემ.

ამ დილითაც დაგვესხნენ თავს, ორი ახალგაზრდა მოგვიკლეს, ძლივს გამოვაღწიეთ. როდემდე გავძლოთ, ჩავიხოცოთ ყველანი? — აღშფოთებას ვერ იოკებს ვალიკო ბაციკაძე.

— შვილები ძარწემში მყავს, ცხინვალს იქით, ცხრა თვეა ალყაში არიან. მათ სანახავად ვერ გავსულვარ. არ ვიცი, ცოცხლები არიან თუ არა. ჩვენც სულ შიშში ვართ, — შემოგვჩივლა რუსიკო ცოტნიაშვილმა.

— სამი წელიწადია ამ ომში ვართ. რაც კარგი ახალგაზრდები გვყავდა, დაგვიხოცეს, აღარ უნდა გვეშველოს რამე? — კითხულობს გამწარებული ლაურა კასრაძე.

ვიდრე გამოხიზნული ერედველები ე. შევარდნაძესთან მიღებაზე მოხვდებოდნენ, რუსთაველის პროსპექტზე მჯდომარე აქცია მოაწყვეს, რამაც რამდენიმე ხნით შეაჩერა ტრანსპორტის მოძრაობა.

შეხვედრაზე ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლების გასაჭირზე ილაპარაკეს გიორგი კასრაძემ, მზია დონიჯაშვილმა, მიხეილ ქრისტესიაშვილმა და სხვებმა. როგორც ბატონმა ე. შევარდნაძემ ერედველებს უთხრა, მან ყველაფერი იცის, რაც დღეს სამაჩაბლოში ხდება; აუხსნა მათ, რომ რესპუბლიკის ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს სამაჩაბლოში სიმშვიდის დასამყარებლად. ზოგიერთი ასეთი კონკრეტული ღონისძიება უკვე განხორციელდა. შევარდნაძემ აღუთქვა ერედველებს, რომ დღესვე გაემგზავრება ცხინვალში და ადგილზე გაერკვევა საქმის ვითარებაში, ყველა ღონეს იხმარს კონფლიქტის მოსაგვარებლად.

იმავე დღეს ედუარდ შევარდნაძე კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა. მასთან ერთად იქ იმყოფება საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა იოსელიანი.

## ახალი ნაბიჯი საქართველო-საბერძნეთის ურთიერთობის გზაზე

— **საბერძნეთის** დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი საქართველოში ახალი, მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენს ხალხებს შორის კონტაქტებისა და თანამშრომლობის გაღრმავების გზაზე, — განაცხადა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ ბერძენი სტუმრების მიღებისას.

ბატონმა თენგიზ სიგუამ კმაყოფილება გამოთქვა ათენში თავისი ამ ცოტა ხნის წინანდელი ვიზიტის შედეგების გამო და აღნიშნა, რომ საბერძნეთის დედაქალაქში მიღწეული მორიგებები მკაფიო კონტურებს იძენენ. მაგალითად, საქართველოში უკვე გამოყვეს შესაბამისი ფართობი ბერძენი სპეციალისტების მიერ ტარის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობისთვის. დასრულდა მოსამზადებელი სამუშაოები საქართველო-საბერძნეთის ერთობლივი საზღვაოსნო საწარმოს შექმნისათვის. აქტიურად მუშავდება რესპუბლიკის საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის პროექტები, რაშიც გათვალისწინებულია ბერძენ მშენებელთა მონაწილეობა.

საბერძნეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, დემოკრატიული პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა სტავროს დიმასმა განაცხადა, რომ საბერძნეთის მთავრობა და საქმიანი წრეები დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოსთან თანამშრომლობისადმი. მზად არის პროგრამები ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებების მიხედვით. მაგალითად, საბერძნეთის მხარე გადმოგვცემს უახლოეს ტექნოლოგიებს აგროსამრეწველო პროდუქციის მოყვანის, აღების, შენახვისა და გადამუშავების დარგში. იგი მზად არის გაგვიზიაროს მდიდარი გამოცდილება ზღვაოსნობის განვითარების დარგში, იკისროს ბიზნესმენების, მენეჯერების, მარკეტინგის დარგისა და საბაზრო ეკონომიკის სხვა სფეროთა სპეციალისტების მომზადება.

კონსტრუქციული, დაინტერესებული საუბრის დროს განიხილეს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის სხვა საკითხებიც. სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციის, მისი დაფინანსებისა და დაპროექტების საკითხებისადმი, გამოთქვეს წინადადება გაიხსნას პირდაპირი რეგულარული საზღვაო ხაზი საბერძნეთიდან საქართველოში. განიხილეს ერთობლივი მცირე საწარმოთა შექმნასთან, ზამთრისა და საზაფხულო ტურიზმის, საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები.

სტუმრების დიდი შეფასება დაიმსახურა ცნობილი ქართველი მოქანდაკის გიორგი შხვაცაბაიას ნამუშევარმა „მშვიდობის ჩირაღდანი", რომელიც უსასყიდლოდ გადაეცემა საბერძნეთს და დაიდგმება ქალაქ ოლიმპიაში ბარსელონის ოლიმპიური თამაშებისთვის ცეცხლის დანთების ცერემონიის დროს.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე სოსო ცისკარიშვილი და სხვა ოფიციალური პირნი.

**გალინა ჩიქოვანი.**

## სამაჩაბლო შველას ითხოვს!

### ლტოლვილ ქართველთა შეკრებაზე

**როგორც** იცით, ამ ცოტა ხნის წინათ, როგორც კი სამაჩაბლოს ტერიტორია დატოვეს რუსეთის შინაგანი ჯარის ნაწილებმა, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ გამოაქვეყნა მიმართვა ამ რეგიონში მცხოვრები ოსი და ქართველი მოსახლეობისადმი, რომელშიც აღინიშნა, რომ საქართველო მზად არის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრისთვის. მთელი მსოფლიოს გასაგონად კიდევ ერთხელ გაისმა ქართველი ხალხის საზრიანი, მართალი სიტყვა, მისი მისწრაფება მშვიდობისაკენ, ძმობისაკენ, თანადგომისაკენ. ახლახან ქართველმა დელეგაციამ ევროპის შუაგულში — კოპენჰაგენშიც კი გამართა მოლაპარაკება ოსეთის ავტორიტეტულ წარმომადგენლებთან... თითქოს გამოჩნდა კიდეც იმედი, დაისახა კონკრეტული გზები პოზიციების დაახლოვების, დაპირისპირების შენელების თვალსაზრისით, მაგრამ...

მრგვალ მაგიდასთან დაჯდომის, მოლაპარაკების, პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის ნაცვლად ოსმა ექსტრემისტებმა, რომ იტყვიან, ნამდვილი ომი წამოიწყეს სამაჩაბლოში. უკანასკნელ დღეებში ისინი თავს ესხმიან ქართულ სოფლებს, არ ინდობენ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს.

თავხედურად იჭრებიან გორის რაიონის სოფლებსა და ხეობებში, შვეულმფრენებიდან ცეცხლს უშენენ მშვიდობიან მოსახლეობას.

ოსური ბანდების ამ აღვირახსნილი თარეშის შედეგად ბლოკირებულია ლიახვის ხეობის 9 ქართული სოფელი, რომლებსაც დროულად სჭირდებათ დახმარება და თანადგომა.

პრობლემები მართლაც ბევრია: სწორედ ამაზე იყო მსჯელობა ამ დღეებში ცხინვალიდან და მისი მიმდებარე რეგიონებიდან ლტოლვილი ქართველების შეკრებაზე, რომლის მონაწილეებმაც მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსადმი.

გთავაზობთ ამ მიმართვის ტექსტს:

2

## თამარ მეფის დღე



**ყველაზე** პოპულარული და სათაყვანებელი გვირგვინოსანი — მეფე თამარი საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და მის მოსახსენიებელ დღედ 1 მაისი დააწესა. როდესაც 1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიამ აღადგინა ავტოკეფალია, პირველად თავისუფლად იზეიმა თამარობა. ამასთან დაკავშირებით 30 აპრილს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა იუწყებოდა: „ხვალინდელი დღე ქართველების ეროვნული დღეა და მასთან ერთად მორწმუნე ქართველთა საეკლესიო დღესასწაულია. ასი წლის მონობის შემდეგ საქართველოს ეკლესია ხვალ პირველად თავისუფლად იდღესასწაულებს ამ დიდებულ დღეს და თამარის ხატის წინ აღთქმას დასდებს, — ამიერიდან ღირსეულად ატაროს თავისუფლების დროშა, რომელიც ისე დიდებულად ამკობდა თამარის დროს ქართველ ერსა და საქართველოს ეკლესიას.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა გულითადად ულოცავს ამ ბრწყინვალე დღეს მთელს ქართველობას, რომელიც იმედია წელსაც ჩვეულებისამებრ შეეგებება ამ, ჩვენი ეროვნული კულტურული წარსულის გამომხატველ, ბრწყინვალე დღესასწაულს".

1918 წლის 1 მაისიდან საქართველოში დაწესდა ახალი სტილი და ამის შემდგომ თამარ მეფის აღსანიშნავმა დღემ 14 მაისისათვის გადაინაცვლა.

თამარ მეფის დღეს მარტო საქართველოს ქალაქებში როდი ზეიმობდნენ, იგი საქართველოს ფარგლებს გარეთაც აღინიშნებოდა, მაგალითად, განჯაში, ერევანში, ბაქოში და სხვ.

თბილისში თამარ მეფის დღეს ქალაქის ეკლესიებში ტარდებოდა წირვა-ლოცვა, გალობანი. ყველაზე მეტი ხალხმრავლობა იგრძნობოდა დიდუბის ეკლესიაში. ამ უბანთან ხომ მჭიდროდაა დაკავშირებული თამარ მეფის სახელი. სამწუხაროდ, დღეს არამცთუ დიდუბეში, არამედ მთელს ქალაქში თამარ მეფის სახელს არაფერი მიანიშნებს. თამარ მეფის სხივოსანი სახე ქართველი საჭრეთელის ოსტატებს ელოდება.

### ნომერში

- რა დროს უთანხმოებანი და ამბიციებია საქართველოსათვის საბედისწერო ჟამს! 2
- დაწყებითი სამხედრო მომზადება აუცილებელი და საჭირო საქმეა. 3
- დაარსდება ახალი სატელევიზიო პროგრამა. 4

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

## დადგენილება

### 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. გაწვეულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად 18-დან 28 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც არა აქვთ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების უფლება ან არ ექვემდებარებიან არასამხედრო ალტერნატიული შრომის შესახებ კანონის მოთხოვნებს.

დაწესდეს წვევამდელთა გაწვევა გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

2. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის ხანგრძლივობა განისაზღვროს 12 თვით.

3. სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების უფლება ეძლევათ:

— წვევამდელებს, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე წვევამდელებს, რომლებიც 1991-92 სასწავლო წელს სწავლობენ კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებში;

— საშუალო და სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებს — სასწავლებლის დამთავრებამდე არა უგვიანეს 20 წლის ასაკისა.

4. ოჯახური მდგომარეობის გამო სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდას არ ექვემდებარებიან: ა) შრომის უნარს მოკლებული მშობლების ან ქვრივი დედის მარჩენალი ერთადერთი ვაჟი, ბ) ობოლი და-ძმების მარჩენალი უფროსი ძმა, გ) ერთადერთი შვილიშვილი, რომელიც პატრონობს შრომის უნარს მოკლებულ დიდედასა და პაპას, დ) ცოლშვილიანი წვევამდელი.

5. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად გაწვეულ იქნენ მხოლოდ ჯანმრთელი წვევამდელები. ავადმყოფ წვევამდელებს გაწვევა გადაუვადდებათ საექიმო კომისიების გადაწყვეტილებით.

6. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად გასაწვევი ახალგაზრდების რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარდგენის საფუძველზე.

7. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში შეიქმნას რაიონული და საქალაქო გამწვევი და საექიმო კომისიები.

8. საქართველოს რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო გამწვევი და საექიმო კომისიების ხელმძღვანელობისა და მათი საქმიანობის კონტროლისთვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან შეიქმნას რესპუბლიკური გამწვევი კომისია.

კომისიების შემადგენლობას და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

9. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამსახური რესპუბლიკის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობაა.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდისგან თავის ამრიდებლები დაისჯებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ე. შევარდნაძე.**

თბილისი. 1992 წლის 7 მაისი.

### საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის

## ბრძანება

### საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შესახებ

„1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 7 მაისის დადგენილების საფუძველზე წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ვბრძანებ:

1. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სამხედრო განყოფილებებმა 1992 წლის მაისიდან გაიწვიონ წვევამდელები საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

2. გაიწვიონ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად 18-28 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც არა აქვთ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების უფლება ან არ ექვემდებარებიან არასამხედრო ალტერნატიული შრომის შესახებ კანონის მოთხოვნებს.

3. გაწვევა მოხდეს ექსტერიტორიული პრინციპით საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი სამხედრო ორგანოების სამმართველოს გეგმის მიხედვით.

4. შეიარაღებული ძალების სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების მეთაურებმა, აგრეთვე შესაბამისმა სამმართველოებმა მოამზადონ სამხედრო ნაწილები და სასწავლო ცენტრები წვევამდელთა მისაღებად და მათთან საბრძოლო მომზადების ორგანიზაციისათვის.

5. წვევამდელთა მომზადებისა და გაწვევისთვის რაიონის და ქალაქის სამხედრო განყოფილებებმა იხელმძღვანელონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით „წვევამდელთა გაწვევის შესახებ" და ადგილობრივი სამხედრო ორგანოების სამმართველოს ბრძანებით „წვევამდელთა შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ".

6. ბრძანება გაეცნოს შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე — თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **თ. კიტოვანი.**

## იქნებ უწმინდესის ლოცვამ გაჭრას

**გორი** დღეს ფრონტისპირა ქალაქის ცხოვრებით ცხოვრობს. ჩამოდიან მილიციის რაზმები, რომლებიც ცხინვალთან ახლომდებარე სოფლებში მიემართებიან, რათა ქართველი მოსახლეობა ბანდიტების თავდასხმებისგან დაიცვან. ოსმა ექსტრემისტებმა უკანასკნელ დღეებში სულ აიშვეს თავი — ცხინვალიდან ჯავშანტრანსპორტიორებით გამოდიან და თავს ესხმიან ერგნეთს, ნიქოზს, ერედვს და დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებს.

ამიტომაც დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა 12 მაისს გორში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ჯაბა იოსელიანის ჩამოსვლას. ისინი ქალაქის კულტურისა და ტექნიკის სასახლეში შეხვდნენ გორის საზოგადოებრიობას, გაიმართა გულახდილი სჯა-ბაასი სამაჩაბლოს პრობლემებზე.

იმავე დღეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ეწვია გორის ღვთისმშობლის ეკლესიას და ატენის სიონს.

**გურამ ვაშაკიძე.**

# სამაჩაბლო შველას ითხოვს!

(დასასრული)

## მიმართვა რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

უკვე ორი წელიწადია, რაც ცხინვალში და მის მიმდებარე რეგიონში მიმდინარეობს ნამდვილი ცალმხრივი ომი ქართველი მოსახლეობისა და საქართველოს წინააღმდეგ. იმპერიალისტური ძალების მიერ შეიარაღებული და ორგანიზებული ოს ექსტრემისტთა ბანდები იბრძვიან საქართველოს მიწა-წყლის დაუფლებისთვის, მისი ერთი ნაწილის მოგლეჯისთვის საქართველოს სხეულისგან, მამა-პაპათა საცხოვრებლიდან ქართველი მოსახლეობის გამოდევნის ან მოსპობისთვის. ქართველებისგან დაიცალა ქ. ცხინვალი და ყორნისის რაიონის სოფლები (ორის გარდა), აგრეთვე ცხინვალის რაიონის ქართული სოფლები გუჯაბაური, მამისაანთუბანი და ქართული ფრისი. ორ წელზე მეტია, რაც ალყაშია ქართული სოფლები თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, სვერი, ძარწემი, ქემერტი და ხეითი. თავდასხმის და გაჟლეტის მუდმივი საშიშროების წინაშეა პატარა ლიახვის ხეობის ქართული სოფლებიც, აგრეთვე გორის რაიონის ქართული სოფლები ნიქოზი და ერგნეთი. თითქმის ყოველდღე ტყვიასა და რაკეტებს უშენენ როგორც კონფლიქტის ზონის, ისე ზონის გარეთ მდებარე ქართულ სოფლებს, რასაც მოსდევს მსხვერპლი. თავის საცხოვრებელ ადგილებს მოწყვეტილი სიკვდილის შიშით გამოქცეული ქართველი მოსახლეობა საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად არის ქცეული.

შიდა ქართლი და მისი ქართველი მოსახლეობა უპატრონოდაა მიტოვებული. თითქმის ორი წელია, რაც საქართველოს ხელისუფლება უძლურებასა და დანაშაულებრივ გულგრილობას იჩენს როგორც რეგიონის ქართველი მოსახლეობის, ისე საქართველოს მიწა-წყლის ამ ნაწილში ზოგადეროვნული ინტერესის დაცვის საქმეში.

ჩვენ, ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გამოდევნილი ქართველი ლტოლვილები, კატეგორიულად მოვითხოვთ:

1. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადოს, რომ იგი სავსებით და უსიტყვოდ ეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების აქტს და რომ იგი არასოდეს არ წარდგება თხოვნით საქართველოს ახალი პარლამენტის წინაშე საქართველოში მოსახლე ოსებისთვის რაიმე სახის ტერიტორიული ავტონომიის მინიჭების შესახებ.

2. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ უზრუნველყოს როგორც ცალკეულ პიროვნებათა მიმართ ჩადენილი დანაშაულის, ისე ქართველი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი გენოციდის ფაქტების სრულფასოვანი გამოძიება, დამნაშავეთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრა არსებული კანონებისა და მიღებული საერთაშორისო სამართლებრივი და მორალური ნორმების შესაბამისად.

3. სახელმწიფომ უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მიყენებული მატერიალური ზარალის აღრიცხვა და სრული საჯაროობის პირობებში განსაზღვროს ამ ზარალის კომპენსაციის წესი.

4. რესპუბლიკის ხელისუფლებამ უზრუნველყოს იძულებით ადგილგადანაცვლებული პირებისთვის ცხოვრების ელემენტარული სანიტარიული და მატერიალური პირობების შექმნა.

5. რესპუბლიკის ხელისუფლებამ უზრუნველყოს მათი დაბრუნება საცხოვრებელ ადგილებში და უსაფრთხოების გარანტიების შექმნა.

6. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ უზრუნველყოს ცხინვალის და ყორნისის რაიონების ტერიტორიაზე დარჩენილი ქართველი მოსახლეობის დაცვა ბანდების თავდასხმისგან.

7. საქართველოს ხელისუფლებამ საჯაროდ განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის ვ. რაზმაძის მიერ გამოთქმული ცილისწამებისადმი, თითქოს საქართველოში მომხდარიყოს ოსების „გენოციდი", უზრუნველყოს ამ თემაზე საჯარო დისკუსია და თუ გენერალური პროკურორის მიერ გამოთქმული ბრალდება არ დადასტურდა, პასუხი მოსთხოვოს მას.

8. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ არ აწარმოოს არავითარი დიალოგი ცხინვალში „მთავრობად" და „უზენაეს საბჭოდ" მიჩნეულ თვითმარქვია დამნაშავეებთან; არავითარი მოლაპარაკება არ აწარმოოს ცხინვალის რეგიონის ბედის შესახებ მოსკოვისა და ვლადიკავკაზის ხელისუფლებასთან ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გამოძევებული ქართველ მოსახლეობასთან შეუთანხმებლად.

9. შეწყდეს საქართველოდან რუსეთში გასულ ლტოლვილთა საქართველოში დაბრუნება მანამდე, სანამ იძულებით ადგილგადანაცვლებული უკანასკნელი ქართველი არ დაუბრუნდება თავის კერას ცხინვალის რეგიონში.

10. მთავრობამ უზრუნველყოს თავისი წარმომადგენლის მუდმივი ყოფნა კონფლიქტის რეგიონში და როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს სისტემატური ინფორმირება კონფლიქტის მიმდინარეობაზე.

11. სახელმწიფო საბჭოში, აგრეთვე ნებისმიერ კომისიაში, რომელიც კონფლიქტის საკითხს განიხილავს, შეყვანილ იქნეს ცხინვალის რეგიონის ქართველი მოსახლეობის წარმომადგენელი.

საჯაროდ, ერის ისტორიისა და მსოფლიოს წინაშე, ვუცხადებთ საქართველოს ხელისუფლებას: გვინდა თუ არ გვინდა დღეს წარმოებს ომი საქართველოს მიწა-წყლისთვის. ამ ომში ჩვენ გვებრძვიან არა მხოლოდ ოსთა ბანდები, არამედ უცხო ძალებიც, რომლებსაც სურთ საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფა. საქართველოს ხელისუფლება, როგორც ერის მეთაური, ვალდებულია ამ ომში მიიღოს მონაწილეობა. თუ იგი ამ მოვალეობას არ შეასრულებს, მაშინ ამ ომის ტვირთს ჩვენ ვზიდავთ, ჩვენი სუსტი ძალით და გავიმარჯვებთ კიდეც, რადგან ჩვენი საქმე სამართლიანია და მთელი ერის საქმეა.

მოვუწოდებთ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას სრულად გაითვალისწინოს თავისი მოვალეობა ერის წინაშე!

მოვუწოდებთ ქართველ ერს, შეიგნოს, რომ საქართველოს მიწა-წყლის დაცვა არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მთელი ერის საქმეა!

მოვუწოდებთ ქართულ ტელევიზიას, ჟურნალისტებს თავიანთ გადაცემებსა და პუბლიკაციებში მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ კონფლიქტის ასახვასა და ჩვენს სატკივარს.

**მიღებულია შიდა ქართლიდან ლტოლვილი ქართველების წარმომადგენელთა შეკრებაზე თბილისში, 1992 წლის 12 მაისს.**

# გალის საზოგადოებრიობა მოუწოდებს!

**იოსებ გოგიჩია**

**გაიმართა გალის რაიონის საზოგადოებრივი აქტივის კრება, რომელმაც იმსჯელა აფხაზეთში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე.**

აღინიშნა, რომ უკანასკნელი ნახევარი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც მუშაობას შეუდგა აფხაზეთის ახალი მოწვევის უზენაესი საბჭო, აქ უკიდურესად დაიძაბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რადგან უზენაესი საბჭოს აფხაზური ნაწილი ადგას სეპარატისტულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, ქართული მოსახლეობის საარსებო ინტერესების უგულებელყოფას. დეპუტატთა აფხაზურმა ნაწილმა საკანონმდებლო ომი გააჩაღა ქართული მოსახლეობისა და მთელი საქართველოს წინააღმდეგ.

აფხაზეთში, სადაც აფხაზური მოსახლეობა 17 პროცენტს შეადგენს, უზენაეს საბჭოში ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა აფხაზურმა ნაწილმა მიისაკუთრა და, სარგებლობს რა პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობითა და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვ. არძინბას სეპარატიზმით, ანტიკონსტიტუციურ კანონებს იღებს, რითაც აფხაზეთი ფაქტობრივად გაჰყავთ საქართველოს იურისდიქციიდან.

ვ. არძინბა ყურად არ იღებს ქართველ დეპუტატთა კანონიერ მოთხოვნებს, ფაქტობრივად ერთპიროვნულად წყვეტს საკითხებს როგორც უზენაეს საბჭოში, ასევე უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში. კანონის უხეში დარღვევით ამტკიცებენ და ნიშნავენ აფხაზეთის მინისტრებსა და სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეებს.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს აფხაზური ნაწილის ანტიქართულ პოლიტიკაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ შექმნილია აფხაზეთის ეგრეთწოდებული გვარდია, რომელიც აფხაზეთის უზენაეს საბჭოს ექვემდებარება. უფრო მეტიც, ამ გვარდიის ნაწილები ყოველგვარი ზნეობრივი და მორალური კრიტერიუმების უგულველყოფით არღვევენ გალის რაიონის მოსახლეობის უფლებებს. მათი რაიონში ყოფნის ხანს გვარდიის წევრების მიმართ უკვე აღძრულია ხუთი სისხლის სამართლის საქმე.

გალის რაიონული საზოგადოებრივი აქტივის კრებამ წამოაყენა შემდეგი მოთხოვნები:

— იმის გამო, რომ ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, შეჩერდეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებების მოქმედება.

— აღინიშნოს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პოლიტიკური და მორალური კრიზისი, რისთვისაც დაითხოვონ პარლამენტი და მიმდინარე წელსვე დაინიშნოს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ახალი არჩევნები დემოკრატიული კანონის საფუძველზე.

— დაუყოვნებლივ დაითხოვონ ე. წ. აფხაზური გვარდია, ან, უკიდურეს შემთხვევაში, შევიდეს იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ფორმირებათა სტრუქტურაში.

— დაიგმოს აფხაზეთში ქართველთა მიმართ დისკრიმინაციული საკადრო პოლიტიკა, რომლის საფუძველზე ქართველობა დღეისთვის ფაქტობრივად არ მონაწილეობს აფხაზეთის მმართველობაში.

— დაუყოვნებლივ შეწყდეს აფხაზეთის ტელევიზიასა და ინფორმაციის სხვა საშუალებებში ანტიქართული კამპანია, აფხაზეთის ტელევიზიაში მოეწყოს ქართული გადაცემები.

— შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ახალი თავმჯდომარის არჩევის კანონშესაბამისობას.

აქტივის კრებამ მოუწოდა აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ქართველს, პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, გაერთიანდნენ, რათა საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე სრულდებოდეს ქართველთა კანონიერი მოთხოვნები.

კრებამ რეზოლუცია გაუგზავნა აფხაზეთის უზენაეს საბჭოს და აფხაზეთის მთავრობას.

სარედაქციო ფოსტიდან

◉

## საინფორმაციო ბლოკადაში ვართ

თითქმის სამი თვეა ჩვენი ქალაქი ტყვარჩელი როგორც მთელი აფხაზეთი საინფორმაციო ბლოკადაში ვართ: არ მოდის არც მოსკოვის, არც რესპუბლიკური გაზეთები. კიდევ მეტი, რომ დაგვჭირდეს ვერც თბილისში წასვლა და ვერც სხვა ქალაქში. რაშია საქმე, რა ხდება ეს? დესტრუქციული ელემენტები აფეთქებენ სარკინიგზო ხიდებს, გადათხრილია გზატკეცილები.

დემოკრატია ზოგმა გაიგო ისე, რომ ყველაფრის ჩადენა შეიძლება, რა უნდა ვუწოდოთ ასეთ მოქმედებას, თუ არა დივერსია, საბოტაჟი ან მავნებლობა. იმ ხის ტოტს ვჭრით, რომელზეც ვზივართ...

მახსოვს ომამდე და ომის შემდეგ სარკინიგზო ხიდებს და მაგისტრალური საავტომობილო გზების ხიდებს იცავდნენ შინაგანი დაცვის მეომრები. შემდეგ ალბათ სახსრების დაზოგვის მოსაზრებებით ასეთი დაცვა მოიხსნა. ამის გარდა რკინიგზის მონაკვეთებს აკონტროლებდნენ თვით რკინიგზელები სათანადო ტექნიკით. ახლა არც ვიცი იყენებენ თუ არა ასეთ სარკინიგზო ტექნიკას. დროა აღვადგინოთ ის, რაც წარსულში დადებითი იყო.

პ. ბარძაია,
ომისა და შრომის ვეტერანი

# — თუ პენსიონერი არ მუშაობს...

**დღევანდელ რთულ ეკონომიკურ პირობებში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას იჩენს პენსიონერთა სოციალური დაცვის საკითხებისადმი. უმუშევარ პენსიონერებზე ზრუნვის ახალი გამოხატულებაა მთავრობის მორიგი დადგენილება მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით დროებით ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მან ამა წლის 17 აპრილს მიიღო. შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის (თვეში 500 მანეთი) განსაზღვრასთან დაკავშირებით წლევანდელი პირველი მაისიდან უმუშევარ პენსიონერებს პენსიები მოემატებათ.**

**ამ საკითხს საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით განმარტავს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საპენსიო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ასმათ ძებისაშვილი.**

— უმუშევარ პენსიონერებს მოემატებათ პენსია, რომელიც თანხობრივად დამოკიდებული იქნება პენსიის ნაირგვარობაზე. ამის მიხედვით პენსია 100 მანეთით გაეზრდებათ ასაკით პენსიონერებს, I და II ჯგუფის ინვალიდებს (მათ შორის ბავშვობიდან ინვალიდებს) და 16 წლამდე ინვალიდ ბავშვებს).

ხოლო იმათ, ვინც პენსიას მარჩენლის დაკარგვის გამო იღებს (თითოეულ წევრზე, რამდენზეც პენსიაა დანიშნული), III ჯგუფის ინვალიდებსა და სოციალური პენსიის მიმღებებს (გარდა ბავშვობიდან ინვალიდებისა) პენსია გაეზრდებათ 50 მანეთით.

შესაბამისად გაიზრდება წელთა ნამსახურობისა და პერსონალური პენსიები. მაგალითად, III ჯგუფის ინვალიდობით პერსონალური პენსიის მიმღებს, რომელიც არ მუშაობს, პენსია გაეზრდება თვეში 50 მანეთით.

— **მოემატებათ თუ არა პენსია მომუშავე პენსიონერებს?**

— მომუშავე პენსიონერებს პენსიები არ მოემატებათ, რადგან მათთვის ზემოაღნიშნული დადგენილება ხელფასის მომატებასა და პენსიის გაცემაში ცვლილებებს ითვალისწინებს. უფრო ნათელი რომ იყოს, დავაკონკრეტებ.

საპენსიო კანონმდებლობით მომუშავე მოხუცებულობით პენსიონერებისთვის მოქმედებს სხვადასხვა წესი. ზოგიერთი კატეგორიისთვის დაწესებულია შეზღუდვა, ზოგიერთისთვის — არა, კერძოდ, მუშებს, ოსტატებს, სოფლად მომუშავე სკოლის მასწავლებლებს, სკოლამდელი, სკოლისგარეშე და სხვა საბავშვო დაწესებულებების პედაგოგიურ მუშაკებს, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების მოწყალების დებს, სამამულო ომის მონაწილეებს და სხვა პენსიონერებს, რომლებიც ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით მუშაობდნენ, პენსიები ეძლეოდათ ხელფასისა და სხვა რაიმე შემოსავლის გაუთვალისწინებლად.

ყველა სხვა კატეგორიის მომუშავე მოხუცებულობით პენსიონერებს პენსიები ეძლეოდათ ხელფასის გათვალისწინებით (420 მან., 720 მან., 820 მან.)

1992 წლის 1 მაისიდან იმ პენსიონერებს, რომლებსაც შეზღუდვა ჰქონდათ პენსიის გაცემაში, და იმათ, ვინც მუშაობს ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, პენსიები მიეცემათ სრულად, თუ ხელფასი და პენსია ერთად არ გადააჭარბებს თვეში 1500 მანეთს.

გადაჭარბების შემთხვევაში მცირდება პენსიის ოდენობა და ხელფასთან ერთად გაიცემა აღნიშნულ თანხამდე, ე. ი. 1500 მანეთამდე. პენსიის გაცემის ასეთი წესი ჯერჯერობით გავრცელდება მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაცია-დაწესებულებებში მომუშავე პენსიონერებზე.

— **პენსიის გაცემის ახალი წესი მოახდენს თუ არა გავლენას იმ ასაკით პენსიონერების უზრუნველყოფაზე, რომელთაც მუშაობის პერიოდში პენსიის სრულად მიღების უფლება ჰქონდათ?**

— არა. ახალი წესი არ მოახდენს გავლენას ასეთ პენსიონერებზე, მაგალითად, ომის მონაწილეებზე, მუშებზე და სხვებზე (გარდა ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეებისა), მაგრამ მუშაობის პერიოდში მათ პენსიები 100 მანეთითაც არ მოემატებათ და ისევე, როგორც სხვა პენსიონერებს, აღნიშნული თანხა მიეცემათ მხოლოდ სამუშაოდან განთავისუფლების შემდეგ. 100 ან 50 მანეთის დარიცხვა მოხდება როგორც ადრე დანიშნულ ან გადაანგარიშებულ პენსიებზე, ისე ახლად დანიშნულ პენსიებზე.

— **ითვალისწინებს თუ არა აღნიშნული დადგენილება ბავშვიანი ოჯახების შემდგომ სოციალურ დაცვას?**

— ახალმა დადგენილებამ ერთგვარად გააუმჯობესა ბავშვიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა. დაწესდა ბავშვიანი ოჯახებისთვის დახმარების შემდეგი წესი:

მაგალითად, ბავშვის დაბადებისას გაიცემა ერთდროული დახმარება — შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონემდე, ესე იგი დღეისათვის 500 მანეთი; ხოლო 1,5 წლამდე ბავშვის მოვლისთვის დედებს მიეცემათ ყოველთვიური დახმარება — მინიმალური ანაზღაურების დონის გათვალისწინებით 60 პროცენტი — დღეისათვის 300 მანეთი;

1,5-დან 6 წლამდე ბავშვის მოვლისთვის — მინიმალური ანაზღაურების დონის გათვალისწინებით — 50 პროცენტი, დღეისათვის 250 მანეთი;

## ადამიანი უპირველესი საზრუნავია

მარტოხელა დედებსა და ალიმენტის ურჩი გადამხდელი მშობლების ბავშვებისთვის დაწესებულია ყოველთვიური დახმარება მინიმალური ანაზღაურების 50 პროცენტი, დღეისათვის 250 მანეთი.

ამ ოდენობამდე შეივსება იმ ბავშვების ალიმენტის თანხები, რომელთა მშობლებიც თუმცა იხდიან ალიმენტს, მაგრამ იგი 250 მანეთზე ნაკლებია. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები გასცემენ სხვაობას ალიმენტსა და 250 მანეთს შორის.

— **სხვა რა სოციალური ღონისძიებებია გათვალისწინებული?**

— მარჩენალის გარდაცვალების გამო მოსწავლეებს და სტუდენტებს პენსიები ნაცვლად 18 წლამდე, მიეცეთ სწავლის პერიოდში, მაგრამ არა უგვიანეს 23 წლის ასაკამდე.

ყოველივე ამის შესაბამისად, იმ მოსწავლეებმა და სტუდენტებმა, რომლებსაც მარჩენლის გარდაცვალების გამო დანიშნული პენსიები შეუწყდათ 18 წლის ასაკ მიღწევის გამო, საჭიროა სწავლის დამადასტურებელი ცნობები წარუდგინონ სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებებს 1992 წლის 1 მაისიდან პენსიის გაცემის აღსადგენად. ცნობების დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში პენსიის აღდგენა მოხდება პირველი მაისიდან, თუ პენსია ადრე იყო დანიშნული, ხოლო თუ პირველად ინიშნება ასეთი პენსია, საკითხი გადაწყდება საერთო წესით, პენსიის დასანიშნად განცხადებითა და საბუთებით მიმართვის დროის გათვალისწინებით, მაგრამ არა უადრეს 1992 წლის 1 მაისისა.

დადგენილებით გადაწყდა და სოციალური პენსიის დასანიშნად საჭირო ასაკის მიღწევამდეც (ქალისა და მამაკაცისათვის შესაბამისად 60,65 წელი) შესაძლებლობა ეძლევათ 55 და 60 წლის ასაკ მიღწეულ ქალებსა და მამაკაცებს დაინიშნონ პენსიები მუშაობის არასრული სტაჟით ყოველგვარი სხვა პირობების მიუხედავად, თუ მათ სულ ცოტა 5 წლის მუშაობის სტაჟი აქვთ.

დღეისათვის საპენსიო ასაკს მიღწეულ მოქალაქეებს დაუბრკოლებლად დაენიშნებათ პენსიები 5 წლის სტაჟითაც კი, ხოლო 60-65 წლის (ქალები, მამაკაცები) ასაკს გადაცილებულ პენსიონერებს, რომლებმაც ადრე კანონით გათვალისწინებული პირობების გამო (საპენსიო ასაკის შესრულება აუცილებლად მუშაობის პერიოდში, პენსიის დასანიშნად მიმართვამდე უწყვეტად მუშაობის 3 წელი, სამუშაოდან გათავისუფლების არაუგვიანეს 1 თვეში მიმართვა პენსიისათვის და სხვა) ვერ ღებულობდნენ სტაჟით პენსიებს, რის გამოც დაენიშნათ სოციალური პენსიები, თუ ჰქონდათ მაღალი ხელფასი (140 მან. ზევით) და მუშაობის სტაჟი (10 წელიწადი და 12 წელიწადისა და 6 თვეზე მეტი) უფლება ეძლევათ მოითხოვონ შრომითი პენსიები არასრული სტაჟით.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც პენსიებთან არის დაკავშირებული, თუმცა ის პენსია არ არის.

დადგენილებით გაორმაგდა საწარმოო ტრავმით გამოწვეული შრომითი დასახიჩრებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებელი თანხა (დაკარგული შრომის უნარის პროცენტის შესაბამისად დანიშნულ პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობა), რაც საწარმოს ან ორგანიზაციის სახსრებიდან გაიცემა. აღნიშნული სხვაობის გაორმაგებული გაცემა მოხდება ამა წლის 1 მაისიდან.

გზა სიარულმა დალია

# რეისიდან დაბრუნდა... პაპა

დღეს, როცა ყოველი მესამე კაცი თუ ქალი ავტომანქანის საჭეს უზის, მძღოლის ერთ დროს რომანტიკული პროფესია თითქოს გაუფერულდა კიდეც, ახალგაზრდებისათვის კი იგი ფუფუნება-გართობის საქმედ იქცა.

მაგრამ, აბა, ჰკითხეთ პირველი კლასის მძღოლს ოთარ ციცხვაიას, თუ რას ნიშნავს სატვირთო მანქანით თუნდაც ერთი რეისი თბილისიდან მოსკოვამდე და უკან.

შინ რომ ვბრუნდები, ორი დღე შეუძლოდ ვგრძნობ თავს, იმდენი წვალება, ხიფათი და ფათერაკია გამოსავლელიო, ამბობს ბატონი ოთარი.

ვინ იცის, რა არ გადახდენია თავს იმ ორმოცი წლის მანძილზე, რაც სატვირთო მანქანის საჭეს უზის.

უკანასკნელად აგერ ახლახანს, იანვარში გაძარცვეს ყაჩაღებმა, თანაც ზედ თავის მშობლიურ სამტრედიასთან. ყველაფერი წაართვეს — ფული, ტანსაცმელი, ტვირთი, რომ იტყვიან, ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს. არც შარიანი ავტოინსპექტორები აკლია შორეულ ტრასაზე...

არადა, აკრძალული და უკანონო არაფერი დააქვს ბატონ ოთარს — „საქბურგეოთერმიის" ავტომანქანით რუსეთის შორეული ქალაქებიდან ჩამოაქვს ჩვენი ნულამდე დასული ეკონომიკისთვის ესოდენ საჭირო მიწის საბურღი დანადგარები და ცალკეული ნაწილები.

მაგრამ დღეს ანარქიამოძალებული ყოფილი იმპერიის გზებზე ძვირფასი ტვირთით სიარული დიდ რისკთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით პირს ტრასის მონაკვეთი როსტოვიდან თბილისამდე.

აი, ამიტომ შეხვდა ოთარ ციცხვაია დიდი კმაყოფილებით საქართველოს მთავრობის საგანგებო დადგენილებას ვაჭრობის თავისუფლების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვნად აადვილებს ტვირთის გადაზიდვას და საერთოდ შორს გზებზე მომუშავე მძღოლთა ცხოვრებასაც.

სურათზე: ოთარ ციცხვაია მონატრებულ შვილიშვილთან თამუნასთან ერთად.

ბონდო დადვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# გაუგებრობა რომ ავიცილოთ

### საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

● **შეიძლება თუ არა მიწის ყიდვა განუსაზღვრელი რაოდენობით?**

— ყველა ქვეყანაში, სადაც ხდება მიწის განსახელმწიფოებრიობა და შემოდის საკუთრების სხვადასხვა ფორმა, წესდება ერთ კომლზე (ან ერთ სულზე) გასაცემი მიწის მაქსიმალური ზღვარი. იგი შეიძლება შედგებოდეს კერძო საკუთრებაში, მემკვიდრეობით მფლობელობაში და იჯარით აღებული მიწის ფართობისგან.

დადგენილება ითვალისწინებს ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით ერთ კომლზე გადასაცემი მიწის მაქსიმალური ზღვარის დადგენას. სწორედ ეს ზღვარი უნდა მივიჩნიოთ ერთი კომლის მიერ მიწის ყიდვის მაქსიმალურად დასაშვებ ნორმად.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საადგილმამულო ურთიერთობის სრულყოფის საფუძველზე იზრდება მიწის გამოყენების მაქსიმალური ზღვარი, ზოგან კი იგი საერთოდ უქმდება.

● **რა პირობით გამოეყოფათ მოქალაქეებს ნაკვეთები ნასოფლარებში?**

— ნასოფლარების აღდგენისას მიწის კერძო საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში გამოყოფის უპირატესობით სარგებლობენ ამ სოფლის მკვიდრნი ან მათი მემკვიდრეები. თუ ასეთები არ არიან, მოქალაქეები, რომლებიც გამოთქვამენ დასახლებისა და მიწაზე მუშაობის სურვილს.

სხვა სოფლებში ყოფილ მკვიდრთ მიწები გამოეყოფათ კერძო საკუთრებაში, თუ მათ მემკვიდრეობით მიღებული აქვთ საცხოვრებელი სახლი ან სხვა ნაგებობა. იგივე წესი ვრცელდება მოქალაქეებზე, რომელთაც ანდერძით ან საჩუქრად მიიღეს სახლი. სხვა შემთხვევაში მიწა ეძლევათ მხოლოდ მფლობელობაში.

**დადგენილების ექო**

● **გლეხობა რომ უარს აცხადებს მიწის მიღებაზე, რა არის ამის მიზეზი?**

— გლეხობა და საერთოდ სოფლის მაცხოვრებელი რომ წინააღმდეგი იყოს მიწის კერძო საკუთრებად გადაცემის, — ეს მტკნარი სიცრუეა. პრობლემა უფრო ღრმაა და მას სერიოზული ახსნა სჭირდება. მოკლედ შეიძლება ითქვას შემდეგი: გლეხი არ არის წინააღმდეგი, მიწა რომ კერძო საკუთრებაში ჰქონდეს. მას უბრალოდ ეშინია იმის, შეძლებს თუ არა მიწის დამუშავებას, ვინ ჩაიბარებს მის მიერ წარმოებულ პროდუქციას და რა ფასად, რა თანხა უნდა გაიღოს სხვადასხვა სახის მომსახურებისათვის, რამდენად ხელსაყრელი იქნება ეს მისთვის და მრავალი სხვა რამისა.

გლეხის ასეთ ფსიქოლოგიას თავისი გამართლებაც აქვს. მას რამდენჯერმე აყრევინეს გული მიწაზე. მისი საქმიანობა საზოგადოებრივ მეურნეობებში ყოველმხრივ რეგლამენტირებული იყო, რომ არაფერი ვთქვათ შრომის იმ მცირე ანაზღაურებაზე, რომელსაც იგი იღებდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საზოგადოებრივი მეურნეობების საშუალო და ზედა რგოლის ბევრ ხელმძღვანელს სხვადასხვა მიზეზის გამო ხელს არ აძლევს წარმოების ამჟამად არსებული ორგანიზაციული ფორმის დაშლა; ეს მათ აკარგვინებს ბევრ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ პრივილეგიას.

პრაქტიკულად თუ როგორ უნდა განხორციელდეს სოფლად მიწისა და ქონების პრივატიზაცია, რა ეტაპები უნდა იქნეს გავლილი და რა ორგანიზაციული სახის სამუშაოები უნდა ჩატარდეს, ამის შესახებ დეტალურად მოგითხრობთ ჩვენი რუბრიკის შემდგომ გამოშვებაში.

წერილი რედაქციას

# ისტორიულ კანონზომიერებათა გათვალისწინებით

1988-90 წლების რევოლუციურ მოძრაობაში, მისი მკაფიოდ გამოკვეთილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათის მიუხედავად, ყოველთვის არსებობდა მძლავრი ხალხისეული სოციალური ნაკადი, ვინაიდან, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან ერთად, ეს მოძრაობა მიზნად ისახავდა საქართველოში რუსული სოციალიზმის, როგორც სოციალური სისტემის დემონტაჟს და ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დამკვიდრებას. მეტიც, კოლონიური უღლი და მანკიერი სოციალური სისტემა პარალელურად განიხილებოდა პირველი რიგის დაბრკოლებად ჩვენი საბოლოო მიზნის— საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინებისკენ მიმავალ გზაზე.

მოძრაობის რევოლუციური ხასიათი განაპირობა ისიც, რომ მოვლენები ვითარდებოდა საბჭოთა იმპერიაში მიმდინარე „პერესტროიკის" ფონზე. მეოცე საუკუნის მიწურულს რუსეთის სახელმწიფოს წინაშე მწვავედ დაისვა ორი ძირითადი ამოცანა — წარმოების პროგრესული დასავლური წესის დანერგვა და გავლენის სფეროთა მაქსიმალური შენარჩუნება. ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობანი, განსაკუთრებით ბალტიისპირეთსა და საქართველოში, აშიშვლებდნენ ისტორიული პროცესების შინაგან ლოგიკას და ხაზს უსვამდნენ ამ ამოცანათა ერთობლივი ამოხსნის ძიების უპერსპექტივობას. ცნობილია, რომ დიდი ისტორიული პროცესები იშვიათად ეტევა ინიციატორთა მიერ წინასწარ მონიშნულ კალაპოტში. „პერესტროიკაც", რომელიც მავანთათვის გააზრებული იყო, როგორც იმპერიის ხელახალი მოდერნიზაციის ცდა, რაც გულისხმობდა ძველი მმართველი კასტის ფერისცვალებას ახალი სოციალური სისტემის პირობებში, გასცდა მართვადი რეფორმის ჩარჩოებს და გარდაუვალ ისტორიულ კანონზომიერებათა შესაბამისად განვითარდა. ავანსცენაზე გამოჩნდნენ ხალხის მასები, რომლებიც თავად არასოდეს ქმნიან პოლიტიკას, მაგრამ მსგავს რევოლუციურ პირობებში უშუალოდ ასრულებენ დროისა და ისტორიის დაკვეთას.

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურმა ნაწილმა სწორად შეაფასა მოვლენათა განვითარების რევოლუციური ხასიათი და ბრძოლის ტაქტიკა არსებულ რეალობას მიუსადაგა. შემდგომში მის ორ ფრთას შორის წარმოქმნილი კონფლიქტი, რომელმაც გარეგნულად პიროვნულ ამბიციათა დაპირისპირების ფორმა მიიღო, დიდწილად განპირობებული იყო იმ იდეური უთანხმოებით, რომელსაც ძალაუფლებასთან მიმართების ფუნდამენტური საკითხისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა განსაზღვრავდა. აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ „პერესტროიკის" ის მოდელი, რომელსაც ჩვენ „ნახევარრევოლუციური" ვუწოდეთ და რომელიც გულისხმობდა მმართველი ფენის (ე. ი. ნომენკლატურის) მიერ მართვის ბერკეტებისა და ძალაუფლების ხელიდან გაუშვებლად ახალ სოციალურ სისტემასთან მის შეგუებას სათანადო ტრანსფორმაციის გზით. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ საქართველოში ამ მოდელის კლასიკური სახით განხორციელება შეუძლებელი შეიქნა. დამკვიდრდა ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობა, როცა ქაოსისა და შფოთიანობის ვითარებაში ნომენკლატურა ეგუებოდა ახალ პირობებს, იმაგრებდა ეკონომიკურ პოზიციებს (ქართული ფინანსების გადაწყალება, კონცერნებისა და ასოციაციების შექმნა), ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული მოძრაობის ხელში კონცენტრირდებოდა ქარიზმული რეალური ძალაუფლება, რომელსაც, სამწუხაროდ, თან არ ახლდა შესაბამისი პასუხისმგებლობა ქვეყნის მართვაში შექმნილი მდგომარეობის გამო. იმათ, ვინც ახლა „მრგვალი მაგიდის" ორგანიზაციათა სწრაფვას ხელისუფლებისკენ მხოლოდ მავანთა მერკანტილური მიდრეკილებებით ხსნის, ავიწყდებათ იმთავითვე დეკლარირებული არგუმენტები არჩევნებში მონაწილეობის სასარგებლოდ.

პირველი: ძალაუფლება, რომელსაც თან არ ახლავს სათანადო პასუხისმგებლობა, ყოველთვის დიდი დამანგრეველი მუხტის შემცველია. უპასუხისმგებლო ძალაუფლების უზნეობა გამოხატულია ლოზუნგით „რაც უარესი, — მით უკეთესი".

მეორე: იმ შემთხვევაში, თუ ხალხის რევოლუციურ ენერგიას სწორად წარმართავს ხალხისავე ნდობით აღჭურვილი ხელისუფლება, შესაძლებელი ხდება რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმის განხორციელება, რაც ქმნის საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინების წანამძღვარს.

სწორედ ამ არგუმენტებს ითვალისწინებდა გარდამავალი პერიოდის კონცეფცია, რომელიც გულისხმობდა რევოლუციური პროცესის გაგრძელებას ახალი საშუალებებით, შემდგომ ძლიერი და ავტორიტეტული ხელისუფლების მხარდაჭერით. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ განვჭვრიტეთ ის მეტამორფოზა, რომელსაც თურმე, განიცდის გუშინდელი რევოლუციონერი, როცა ხელისუფალი ხდება. იყენებს რა ნაცად იარაღს — კორუფციას, ნომენკლატურა თანდათანობით იბრუნებდა პოლიტიკური ძალაუფლების ბერკეტებს ეროვნული ხელისუფლების გარეყვნისა და სათანადო ლობის ჩამოყალიბების გზით. ამ მაფიოზური ძალის დაკვეთით ხელოვნურად შეჩერდა რევოლუციური გარდაქმნათა პროცესი, აიკრძალა საჯაროობა, დემოკრატია სალანძღავ სიტყვად იქცა, არ განხორციელდა ეკონომიკური რეფორმა, დაიწყო კონვერგენციის თეორიისა და სოციალიზმის ერთგვარ უპირატესობათა რეკლამირება. იმათ კი, ვინც გუშინ აბორგებულ ხალხის ნაწილს წარმოადგენდა, ბრძოლისა და მოძრაობის სიხარულ ძალაუფლებას საიმედო აჭრობინეს. საკუთარი დაცემა ნაციონალ-სოციალისტური რიტორიკით შენიღბეს და საბოლოოდ დაუპირისპირდნენ გლობალურ ისტორიულ პროცესებს. კონსტრუქციული ოპოზიციის მრავალი გაფრთხილება დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". ყოფილი ხელისუფლება თავისი უგუნური მოქმედებით ჭიუტად ამზადებდა სწორედ იმ „კომუნისტურ პუტჩს", რომელსაც სიტყვით თავგამეტებით ებრძოდა. ხალხმა არ დააყოვნა, კვანძი გაიხსნა და მოსახდენი მოხდა.

## ყველას თავისი აზრი აქვს

როცა დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების მიზეზებს ვიკვლევთ, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ყოფილი ხელისუფლების დანაშაულებრივი შეცდომები გვახსენდება (სამწუხაროდ, ყოველგვარ კონსტრუქციულობას მოკლებული ქვეყნისათვის დამანგრეველი ეს ქმედებანი დღემდე გრძელდება). მაგრამ აქვე შეუძლებელია არ დავუბრუნდეთ კითხვას, თუ ვინ მოაწყო გადატრიალება, ან ვინ ისარგებლა მისი შედეგებით. როგორ მოხდა, რომ ოპოზიციურმა გამოსვლებმა, რომლებსაც ხალხის ფართო მრავალი თანაგრძნობით, დეკემბერ-იანვარში ბევრი ჩვენთაგანისთვის მიუღებელი ფორმა მიიღო. ეს შედეგები კი ასეთი გახლავთ: რევოლუცია მკვდარია, ეროვნული მოძრაობა — დისკრედიტირებული, საზოგადოებრივი ცნობიერება — გახლეჩილი და პარალიზებული. ადამიანები სულ უფრო ხშირად წინანდელით იგონებენ „სოციალისტურ სამოთხეს", საიდანაც ისინი სამშობლოს გათავისუფლების „ცოდვიანი" იდეისთვის გამოაძევეს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთი პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტა ხელოვნურად ჭიანურდება, რათა ტოტალური შიშის ატმოსფეროში გაიოლდეს სოციალური სიტუაციის მართვა და ხალხის ცნობიერებით მანიპულირება. ყოველივე ეს საუკეთესო პირობებს უქმნის რეაქციისა და რესტავრაციას, და, მართლაც, საყოველთაო ანარქიისა და დესტაბილიზაციის ფონზე ადვილი შესამჩნევია ცალკე ფუნქციონერთა გააქტიურება. ისინი დღეს ერის შვილებს ბანდიტებად, მასების პოლიტიკურ უმწიფრობას და ცხრა აპრილის იდეალებსაც კი დასცინიან. ეს იმ ძალთა სასტიკი შურისძიებაა, რომლებსაც რევოლუციის დაწყებამდე ხელთ ეპყრათ განუსაზღვრელი ძალაუფლება, ხოლო დამარცხების შემდეგ ფრთხილად და ჯიუტად ამზადებენ დღევანდელ რესტავრაციას. სხვათა შორის, მათ მოხერხებულად გამოიყენეს არა მარტო ზვიად გამსახურდიას, არამედ ედუარდ შევარდნაძის ფენომენიც, რომელიც წინა რეჟიმის დროს სამართლიანად აღიქმებოდა, როგორც გამოუყენებელი პოლიტიკური კაპიტალი (ამ უკანასკნელის სახელის სპეკულირებით დღესაც იმკვიდრებენ ადგილს მზისქვეშეთში). ახლა, როცა დამშეული, დაღლილი, დაუცველი ხალხი უიმედოდ უმზერს ხაზინის ქურდებისა და შარაგზის ყაჩაღების საზეიმო ფერხულს, თითქოს წინ არაფერი ელოდება „ნახევარრევოლუციის" იმ მოდელის განხორციელების, რომლის დროსაც სოციალური სისტემა „იცვლება", ხოლო მმართველი კასტა უცვლელი რჩება. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამგვარი მოდელი პრინციპულად განუხორციელებელია. ნომენკლატურა რუსული სოციალიზმის განუყოფელი ნაწილია და იგი ან სოციალურ სისტემასთან ერთად გადაიქცევა, ან მასთან ერთად დაიღუპება. ამ უკანასკნელი შედეგის მისაღწევად კი ერთადერთი გზა არსებობს — რევოლუციური პროცესის გაგრძელება.

შექმნილ უმძიმეს ვითარებაში კვლავ მოსახლეობამ უნდა იკისროს უმთავრესი პასუხისმგებლობა ქვეყნის ხვალინდელი დღისათვის. მოძრაობის ახალი ტალღა უნდა წარიმართოს არა სამოქალაქო ომის ან ნგრევა-უარყოფის, არამედ სამოქალაქო ინიციატივის, თვითმმართველობისა და უმკაცრესი დისციპლინის ნიშნით. უკვე გამოჩნდა პასუხისმგებლობის პირველი ნიშნები— ბევრგან შექმნილია მოხალისეთა რაზმები, რომლებიც წესრიგს იცავენ ცალკეულ ობიექტებზე, აგრეთვე დასახლებული პუნქტების ცალკეულ უბნებში. მოხალისეთა რაზმების გააქტიურებამ და მათმა კოორდინირებულმა თანამშრომლობამ სამართალდამცავ ორგანოებთან უნდა ააცილოს სისხლის სამართლის დამნაშავეთა განუკითხავი თარეში. იქ, სადაც ხელოვნურად ფერხდება რეფორმები, უნდა გაუქმდეს უვარგისი ადმინისტრაციული აპარატი და ხალხმა აირჩიოს დემოკრატიული თვითმმართველობის ორგანოები. მომავალი სახელმწიფოს სტრუქტურები უნდა აშენდეს ქვევიდან, საძირკვლიდან, და საქართველოს მთელი მოსახლეობა უნდა იყოს ამ სტრუქტურათა მშენებელი.

ყოველივე ეს კი არ ამცირებს, არამედ ზრდის ხელისუფლების ორგანოთა პასუხისმგებლობას. იმისთვის, რომ გამორიცხოს ამ პროცესთა უმართავი ხასიათი, აუცილებელია ორი ურთიერთშემხვედრი მოძრაობა: ქვემოდან — ხალხის შემოქმედებითი ენერგიის გაღვიძება, მაქსიმალური თვითმმართველობის უფლების რეალური განხორციელება, ხოლო ზემოდან — ყოველივე ამის მხარდაჭერა. ნებისმიერი ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურა, თუნდაც დროებითი, ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ საყოველთაო შემოქმედებით ინიციატივას ქვეყნისთვის უაღრესად კრიტიკულ მომენტში, როცა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებით განპირობებული დამანგრეველი ტენდენციები გაცილებით ჭარბობს აღმშენებლობითს. ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ სულ ახლახან გადატანილი ტრაგედია შესაძლოა დაჩრდილოს იმ სახელმწიფოებრივი მასშტაბის კატასტროფამ, რომლის კონტურებიც სულ უფრო და უფრო იკვეთება.

საქართველოსთვის ამ საბედისწერო ჟამს უნდა დავივიწყოთ ძველი უთანხმოებანი და პიროვნული ამბიციები, რათა შეიქმნას ვითარება, როდესაც ჩვენში მოქმედ ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას რეალურად მიეცემა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობისა და მათი კონტროლის საშუალება. ერთობლივად შემუშავდეს ქვეყნის უკიდურესი კრიზისიდან გამოყვანის კონკრეტული პროგრამა. ყველამ უნდა ვიკისროთ პასუხისმგებლობა და ვეძებოთ ეროვნული თანხმობის მიღწევის კონსტრუქციული გზები.

თ. პაპაშვილი, მ. ურიდია, მ. კაკაბილაშვილი, გ. ჩორგოლაშვილი, თ. დოხამინჯია, ი. მელაშვილი.

**სამშობლოს არვის წავართმევთ!**

# გვინდა თუ არა საშუალო სასწავლებლებში დაწყებითი სამხედრო მომზადება

**შ. ჩქარეული,**
საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის, სპორტის და სამხედრო მომზადების სამმართველოს უფროსის მოადგილე;
**ა. ვაშაკიძე,**
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

**ოდითგან მოდის, რომ ყველა ქვეყანას, ყველა ხალხს სათანადო თავდაცვა სჭირდება. ეს ასე იყო და ასე იქნება კიდევ დიდხანს.**

**სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმები და მეთოდები არსებობს სამშობლოს დამცველთა მოსამზადებლად, დღეს, როცა ჩვენი რესპუბლიკა თავგამოდებით იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის და მივიღეთ გადაწყვეტილება შეიქმნას საქართველოს ეროვნული არმია, ახალგაზრდების მომზადება სამხედრო სამსახურისათვის, ჩვენი აზრით, ახლაც რჩება ერთ-ერთ მეტად სერიოზულ ამოცანად.**

**იყო დრო, როცა ჩვენი რესპუბლიკის საშუალო სასწავლებლებში დაწყებით სამხედრო მომზადებას გადიოდა ყველა მოსწავლე — გოგონებიც და ჭაბუკებიც. ჩვენ მათ ყველას ვამზადებდით სამშობლოს დასაცავად, ჭაბუკებს კი — ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის.**

ალბათ ყველას ახსოვს, თუ როგორ ეხმარებოდა ჭაბუკებს სკოლის კედლებში მიღებული სამხედრო ცოდნა შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურის დაწყებისას. ჭაბუკი, რომელიც ჯარში მიდიოდა დაწყებითი სამხედრო მომზადების სრული კურსის დამთავრების შემდეგ, იოლად ეუფლებოდა სამხედრო საქმეს, მან უკვე იცოდა შეიარაღებული ძალების დანიშნულება და მისი ამოცანები, მას უკვე ათვისებული ჰქონდა სამხედრო საქმის საფუძვლები, რაც მთავარია, ბავშვები კარგად ერკვეოდნენ სამოქალაქო თავდაცვისა და სამედიცინო-სანიტარიული მომზადების საკითხებში, რომელთა ცოდნა აუცილებელია ყველა ადამიანისათვის თანამედროვე პირობებში.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩერნობილის ტრაგედიამ ათასობით სიცოცხლე შეიწირა მოქალაქეთა მიერ სამოქალაქო თავდაცვის საკითხების უცოდინარობით. სად შეიძლება ახალგაზრდამ უკეთ შეისწავლოს სამოქალაქო თავდაცვა, მასობრივი დაზიანების იარაღი, სტიქიურ უბედურებათა შედეგებისაგან თავის დაღწევა თუ არა სკოლის კედლებში, სადაც ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ახალგაზრდამ საჭიროების შემთხვევაში შეძლოს თავის გადარჩენა და პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა სხვებისათვის.

როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით ნამდვილი სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობა რიგითებისა და სერჟანტებისათვის ახლა განსაზღვრულია 18 თვით. ეს არც ისე ძალიან დიდი დროა იმისათვის, რომ ახალგაზრდამ აითვისოს თანამედროვე სამხედრო ტექნიკა და ყველაფერი, რაც ასე სჭირდება სამშობლოს დამცველს, მით უმეტეს თუ ის არ გაივლის დაწყებითი სამხედრო მომზადების სრულ კურსს საშუალო სასწავლებელში.

ზოგიერთ თანამდებობის პირს ეშინია, ბრალი არ დაგვდონ სკოლების მილიტარიზაციაშიო. ეს შიში სრულიად უსაფუძვლოა, რადგან ყველა ქვეყანაში, მათ შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში, ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოში არსებობს ახალგაზრდობის მომზადება სამხედრო სამსახურისათვის ამა თუ იმ ფორმით.

ჩვენ გვესახება, რომ ზოგიერთებს არ სურთ თავი შეიწუხონ და ამ დიდ პატრიოტულ საქმეს უხელმძღვანელონ.

ჩვენთვის გაუგებარია ვის და რისთვის მოუვიდა აზრად დაწყებითი სამხედრო მომზადების გაუქმება, ვის აძლევს ეს ხელს?

ქ. რუსთავის საშუალო სასწავლებლებში მუშაობის დროს შარშან დეკემბერში № 16 საშუალო სკოლის დირექტორისადმი დასმულ კითხვაზე, საჭიროა თუ არა სკოლაში სამხედრო ხელმძღვანელი, ბატონმა ვახტანგ ჯაფარიძემ გვიპასუხა: „სკოლაში რომ არ იყოს შტატით გათვალისწინებული სამხედრო ხელმძღვანელის თანამდებობა, ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ასეთი თანამდებობა სკოლაში აუცილებლად იქნეს შემოღებული".

ალბათ ასევე ფიქრობს ყველა სხვა საშუალო სასწავლებლის საღად მოაზროვნე დირექტორი. სხვანაირად არც შეიძლება, სამხედრო ხელმძღვანელი ხომ სასწავლებლის ხელმძღვანელის მარჯვენა ხელია. ის ვალდებულია იმუშაოს სასწავლებლის ყველა ასაკის ბავშვებთან, დაწყებული პირველი კლასიდან. სამხედრო ხელმძღვანელი, გარდა დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილებისა, სკოლაში ბევრ ისეთ ღონისძიებას ახორციელებს, როგორიცაა სხვადასხვა შეჯიბრება, განაგებს სამხედრო კაბინეტს, რომელსაც თვითონვე აწყობს თავისი მოსწავლეების დახმარებით და ა. შ.

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, შეცდომა იქნებოდა, რომ მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში გაუქმებულიყო დაწყებითი სამხედრო მომზადება, როგორც სახელმწიფო საგანი. ეს იგივეა, რომ აკრძალო ახალგაზრდობის ეროვნული არმიის რიგებში სამსახურისათვის და სამშობლოს დასაცავად მომზადება.

ცნობილია, რომ დღეისათვის სკოლებში სასწავლო იარაღი და მცირეკალიბრიანი შაშხანები არა გვაქვს. ეს დრომ მოიტანა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოკლე დროში რესპუბლიკაში წესრიგი დამყარდება, გონს მოეგებიან ჯერ კიდევ არანორმალურად მოაზროვნე ფანატიკოსები და სკოლებშიც ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ამჟამად ყველა საშუალო სასწავლებელში არის საკმარისი პნევმატური შაშხანები, მხედველობაში გვაქვს ის, რომ იარაღის ჩამორთმევის შემდეგ ჩვენ 2500 ცალი პნევმატური შაშხანა შევიძინეთ და დავურიგეთ სასწავლებლებს. ამ იარაღით სკოლებში თავისუფლად შეიძლება სროლისა და საერთო საცეცხლე მომზადების სწავლება.

ჩვენ გვესახება, რომ საშუალო სასწავლებლებში კი არ უნდა მოვშალოთ დაწყებითი სამხედრო მომზადება და დავანგრიოთ მისი სასწავლო-მატერიალური ბაზა, — ეს ადვილი საქმეა, — არამედ ყოველნაირად გავაუმჯობესოთ სასწავლო პროცესი და სრულვყოთ მისთვის საჭირო ბაზა.

განათლების სამინისტრო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ განამტკიცოს რესპუბლიკის საშუალო სასწავლებლებში დაწყებითი სამხედრო მომზადება, სრულყოს სამხედრო ხელმძღვანელთა კადრების მომზადება, რასაც ემსახურება თელავის სახელმწიფო პედინსტიტუტის სათანადო ფაკულტეტი და სამხედრო კათედრა.

საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და სამხედრო მომზადების სამმართველომ შეიმუშავა და ყველა საშუალო სასწავლებელს დაუგზავნა დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამები ქართულ და რუსულ ენაზე საჭირო რაოდენობით. შედგენილია და მზად არის გამოსაცემად დაწყებითი სამხედრო მომზადების სახელმძღვანელო, ასეთი წიგნი პირველია ქართულ ენაზე. აგრეთვე მზად არის დასაბეჭდად დამხმარე სახელმძღვანელო „ქართველი ხალხის საბრძოლო დიდების ფურცლები". გარდა ამისა მომზადებული და ჩატარებულია მრავალი პრაქტიკული და მეთოდური ხასიათის ღონისძიება, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ყველაფერი ამის წყალში ჩაყრა და დაწყებითი სამხედრო მომზადების გაუქმება, ჩვენი აზრით, დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა.

არმია ჩვენს რესპუბლიკას სჭირდებოდა წარსულში, სჭირდება დღეს და დასჭირდება მომავალშიც. ამიტომ მის შექმნასა და მომზადებაზე სავსებით სერიოზულად უნდა ვიზრუნოთ თავიდანვე, რომ ის გახდეს თავისი ხალხის და სამშობლოს ინტერესების საიმედო და ღირსეული დამცველი. ამას უეჭველად ხელს შეუწყობდა მოსწავლე ჭაბუკების კარგად ორგანიზებული დაწყებითი სამხედრო მომზადება.

ამასთან გათვალისწინებულია ისიც, რომ რესპუბლიკაში სათანადო დეკრეტის თანახმად იქმნება მხოლოდ ოციათასიანი ეროვნული არმია. ეს გასაწვევი კონტინგენტის ნახევარიც არ არის. ისმება კითხვა, სად გაიარონ სამხედრო მომზადება იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც ჯარში გაუწვეველი რჩებიან? — თუ ისინი სკოლაში მაინც დაწყებით სამხედრო მომზადებას არ გაივლიან, საერთოდ რჩებიან ყოველგვარი სამხედრო მომზადების გარეთ.

სამხედრო საქმე სკოლაში დიდ დახმარებას უწევს სკოლის ხელმძღვანელობას საერთო სასწავლო დისციპლინის განმტკიცებაში, წესრიგის დამყარებაში, სამშობლოს დამცველებად ახალგაზრდების ჩამოყალიბებაში.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, რომ მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადება აუცილებელი და საჭირო საქმეა, საჭიროა მისი ყოველმხრივ გაუმჯობესება და არა გაუქმება და მოშლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადების შემდგომი ბედი დამოკიდებულია რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროზე და მისი ხელმძღვანელების პოზიციაზე.

---

**ისტორიის ფურცლები**

# ჩვენი ერთიანობა წინაპრებმა შეადუღაბეს

**გურამ შენგელია.**

**ქართველი და აფხაზი ხალხების ურთიერთობა ეფუძნება ორი მოძმე ერის თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიას. როგორც მართებულად დაასკვნის აფხაზი მეცნიერი ზურაბ ანჩაბაძე 1976 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ ნაშრომში „აფხაზი ხალხის ეთნიკური ისტორიის ნარკვევი", თავის დროზე ტერმინების — „აფხაზეთი" და „აფხაზები", გავრცელება მთელ საქართველოში, წარმოადგენდა საბოლოო ჯამში იმ აქტიური როლის ასახვას, რომელიც შეასრულა აფხაზთა სამეფომ ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლაში.** ამავე ნაშრომში მეცნიერი მიუთითებს, რომ აფხაზთა სამეფოში, რომლის დედაქალაქი იყო ქუთაისი, ქართველურ ელემენტს, რომელიც წარმოადგენდა მოსახლეობის გარკვეულ უმრავლესობას, ეკავა ამ სამეფოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი. აღნიშნულის გამო, — წერს ზ. ანჩაბაძე, — ქართული ენა თანდათანობით ვრცელდებოდა აფხაზთა სამეფოში, როგორც ძირითადი ენა... ისიც ხომ ცნობილია, რომ აფხაზთა ცნობიერებაში საქართველოს, როგორც სამშობლოს, ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც საკუთრივ აფხაზეთს.

ამის საილუსტრაციოდ მრავალთაგან ერთ საყურადღებო ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას. ცნობილი ქართველი მწერალი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია წიგნში „მოგზაურობანი", რომელიც 1985 წელს დაისტამბა, მოგვითხრობს რა აფხაზეთში მოგზაურობაზე, სხვა საინტერესო ამბებთან ერთად ეხება აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის გასახლებას აფხაზეთიდან. ოჩამჩირეში მყოფი მთავრისათვის, წერს თედო სახოკია, ხელისუფლების წარმომადგენლებს განუცხადებიათ: „მეფის ნაცვლის ბრძანება გვაქვს, ქუთაისში წაგიყვანოთ, იქ ბინა გაქვთ მომზადებული და იქვე იცხოვრებთო. ქუთაისის ხსენებაზე მთავარს გაეხარდა, რაკი სამშობლოში ვიცხოვრებ, ჭირს ადვილად გავუძლებო".

როგორც ვხედავთ, ჩვენი წინაპრები „ჩინური კედლით" არ მიჯნავდნენ აფხაზეთს საქართველოსგან, რასაც, სამწუხაროდ, ზოგიერთები ცდილობენ დღეს. მათთვის აფხაზეთი და საქართველო ერთ ცნებას, საერთო სამშობლოს წარმოადგენდა.

ქართველი მოწინავე ინტელიგენციის გავლენა აფხაზეთში საკმაოდ ძლიერი იყო, რაზეც საარქივო დოკუმენტებიც შესანიშნავად მეტყველებენ. ქართველი სოციალ-დემოკრატები შედიოდნენ სოხუმის „სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი კოლექტივის" შემადგენლობაში. ზემოაღნიშნულის შესახებ 1916 წლის 8 ივლისს ქუთაისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველო აუწყებდა მეფისნაცვლის კანცელარიას შემდეგს: „...სოხუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი კოლექტივის შემადგენლობაში შედიან გაურკვეველი საქმიანობის მქონე გიორგი შანშიევი (შანშიაშვილი), ქალაქის გამგეობასთან არსებული ცნობათა ბიუროს მდივანი იუსტინე ჩიქოვანი, კომერსანტი კილურაძე, ნოქარი ჯანჯღავა და ორგანიზაციის მეთაური, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი ვლადიმერ ჯუღელი. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით იკრიბება ფული მუშათა გაზეთებისათვის... ფულის შეგროვება ხდება უმთავრესად სოციალ-დემოკრატ მუშებში".

ქართველ ინტელიგენციას ყოველთვის გულთან ახლო მიჰქონდა აფხაზეთის მშრომელთა გასაჭირი. ამასთან დაკავშირებით, მოვიტანთ ერთ საყურადღებო საარქივო საბუთს. ცნობილია, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს, კერძოდ, 1916 წელს ყველაფერი ძვირდებოდა აფხაზეთშიც, რის გამოც, სოხუმში ამავე წლის ივლისის პირველ რიცხვებში გაიმართა საპროტესტო გამოსვლები. ადგილზე ვითარების გასაცნობად 18 სექტემბერს, როგორც დოკუმენტი გვაუწყებს, აფხაზეთს ეწვია სახელმწიფო სათათბიროს წევრი აკაკი ჩხენკელი, რომელიც სოხუმში სასტუმრო „ორიენტალში" დაბინავდა. იგი ინახულეს ადგილობრივმა ქართველმა ვაჭრებმა და სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის წევრებმა, რომლებმაც სტუმრის პატივსაცემად საუზმე გამართეს ქალაქის ბაღში. 19 სექტემბერს ქალაქის თავის ინიციატივით გამგეობაში გაიმართა კრება ჩხენკელის მონაწილეობით, რომელსაც მოახსენეს სოხუმში 1-2 ივლისს მომხდარი უწესრიგობების შესახებ, ფასების ზრდამ რომ გამოიწვია. ჩხენკელს უთქვამს, რომ ამ საქმეზე იმსჯელებს სახელმწიფო სათათბიროს წევრ ჩხეიძესთან, იმის გასარკვევად, დაესვათ თუ არა ეს საკითხი სათათბიროში განსახილველად.

აფხაზეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მხარის განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქართველი ინტელიგენციის დიდ გავლენაზე მიუთითებდნენ ოფიციალური ხელისუფლების ორგანოებიც. 1916 წლის 10 სექტემბერს ქუთაისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველო მეფისნაცვლის კანცელარიას გუდაუთის გამოჩენილ სოციალ-დემოკრატ მოღვაწეთა შესახებ აცნობებდა: სოხუმის ოკრუგის დაბა გუდაუთში გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი მოღვაწეები არიან მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ბაგრატ ნადარეიშვილი და მისი დედინაცვალი ელენე ნადარეიშვილიო.

ქართველი ინტელიგენცია დიდ მზრუნველობას იჩენდა აფხაზური კულტურისადმი. ცნობილია, რომ მისი მხარდაჭერით, 1912 წელს თბილისში გამოიცა აფხაზური ლიტერატურის პატრიარქის დიმიტრი გულიას პოეტურ თხზულებათა პირველი კრებული. პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, გიორგი შერვაშიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მოწინავე ქართველ საზოგადოებრიობასთან. იგი შესანიშნავ ლექსებს წერდა ქართულ ენაზე. როგორც პროფესორი ზ. ანჩაბაძე დასახელებულ ნაშრომში წერს, აფხაზეთში ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ ქართველი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები, თ. სახოკია, პ. ჭარია, ნ. ჯანაშია, კ. მაჭავარიანი, თ. ხუსკივაძე, ა. ჯუღელი, ს. ნორაკიძე, მ. დადიანი-ანჩაბაძე და სხვები.

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია აფხაზ მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად ჩვენი საერთო ისტორიის მანძილზე მტკიცედ იცავდა წინაპართაგან შედუღაბებულ ერთიანობას, სასტიკად გმობდა აფხაზი და ქართველი ხალხების გათიშვის ცდებს, რომლებსაც ცარიზმის ლოცვა-კურთხევით, ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს რეაქციული ელემენტები. ქართველი და აფხაზი მოწინავე ინტელიგენცია ენერგიულად იღვწოდა მოძმე ხალხების ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობების განსამტკიცებლად. სახელოვან წინაპართა პატრიოტული მოღვაწეობა, რომელთა მიზანი იყო ორი მოძმე ხალხის ერთიანობის განმტკიცება, ვფიქრობთ, მისაბაძი უნდა გახდეს იმათთვის, ვინც ჭეშმარიტად იბრძვის და იღვწის ქართველი და აფხაზი ხალხების უკეთესი მერმისისთვის. დღეს, როცა საქართველოს ბრძოლას სრული დამოუკიდებლობისათვის ცენტრი უპირისპირებს მორიგ პროვოკაციებს, როდესაც იმპერიული აზროვნებით გონებადაბინდული სერგი ბაბურინი და „ძმანი მისნი" თავს უფლებას აძლევენ და ულტიმატუმის ენით „გვმოძღვრავენ", უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც მკვიდრი მოსახლეობის — ქართველთა და აფხაზთა, ასევე რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის შეკავშირებას სრული დამოუკიდებლობის მისაღწევად.

---

## ამ ტრიალ ქვეყანაზე

### ოვაცია გენშერს

**ბუნდესტაგში ჰანს-დიტრიხ გენშერის — როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის უკანასკნელი გამოსვლა უნგრეთთან და ჩეხეთ-სლოვაკეთთან დადებულ ხელშეკრულებებს მიეძღვნა.**

მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ორივე ხელშეკრულება, აღნიშნა პარლამენტში გენშერმა, ორმხრივი შეთანხმების ფარგლებს სცილდება და საერთო-ევროპული მნიშვნელობა აქვს. დეპუტატები არათუ დაეთანხმნენ, ოვაცია გაუმართეს გენშერს და ასე შეაჯამეს გერმანიის საგარეო პოლიტიკის მთელი პერიოდი, რომელიც დაკავშირებულია ამ ლიბერალური მოღვაწის სახელთან.

### ყარაბაღის ამბები

**თურქეთის პრემიერმა სულეიმან დემირელმა შეერთებულ შტატებს მოუწოდა აქტიური როლი შეასრულოს ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგებაში და მხარი დაუჭიროს ანკარის მიმართვას გაეროს უშიშროების საბჭოსადმი ყარაბაღში ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით.**

ტელეფონით საუბრისას თურქეთის მთავრობის მეთაურმა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს სთხოვა გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი, რათა „სომხებმა შეწყვიტონ იერიშები აზერბაიჯანელთა წინააღმდეგ". უფრო ადრე პრეზიდენტი ბუში ტელეფონით ესაუბრა სომხეთის პრეზიდენტს ლევონ ტერ-პეტროსიანს.

გაეროს უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა ყარაბაღში ვითარების შესასწავლად კიდევ ერთი წარმომადგენლობითი დელეგაცია გაეგზავნა.

### ინციდენტი ამერიკის უზბეკეთის საელჩოში

**11 მაისს დაახლოებით ნაშუადღევს ამერიკის შეერთებული შტატების უზბეკეთის საელჩოს შენობაში შეიპარა უცნობი მოქალაქე და იარაღის მუქარით, რომელიც მან უზნის მილიციელს წაართვა, ერთ-ერთ ოთახში ჩაიკეტა. დაუპატიჟებელმა „სტუმარმა" მუფტისთან შეხვედრა მოითხოვა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ღონისძიებების შედეგად „ოკუპანტი" დააკავეს. წინასწარი მონაცემებით, იგი აღმოჩნდა აბდუსატარ მირზაქარიმოვი, რომელიც ექვსი წლის წინათ დაუთხოვიათ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებიდან მილიციის ოფიცრის წოდების შებღალვისთვის და ამჟამად არსად არ მუშაობს. მიმდინარეობს გამოძიება.

### პოპოვი ძლიერი ხელისუფლების მომხრეა

**ახლანდელ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაში რუსეთმა უნდა დაამყაროს ძლიერი ხელისუფლების რეჟიმი, მხოლოდ ასეთნაირად იქნება უზრუნველყოფილი ქვეყნის გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე.**

ასეთი აზრი გამოთქვა პარიზის გაზეთ „ლიბერასიონის" სტატიაში მოსკოვის მერმა გაბრიელ პოპოვმა. ეს აზრი, ხაზგასმით აღნიშნა რუსეთის პოლიტიკურმა მოღვაწემ, სულაც არ ეწინააღმდეგება ჩემს დიდ ერთგულებას დემოკრატიული პრინციპებისადმი. მაგრამ „ნამდვილი დემოკრატია ქვეყანაში მხოლოდ მაშინ დამტკიცდება, თუ იგი მთლიანად გამოიყენებს თავის ეკონომიკურ პოტენციალს, გახდება კაპიტალისტური და აყვავებული".



„იზვესტია".

---

**გავიცნოთ კაპიტალიზმი**

# 3. საგადასახადო სისტემა ცივილიზებულ სამყაროში

### ...და ზოგი რამ სოციალისტური სახელმწიფოს ექსპლოატატორული ბუნების შესახებ

**ომარ გოგიაშვილი,** პროფესორი.

გადასახადები ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა. ადამიანთა საზოგადოების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, განურჩევლად საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლებისა, ჯერ არც ერთ სახელმწიფოს უგადასახადებოდ არ უარსებია და ვერც იარსებებს. გადასახადებიდან შემოსული თანხის უდიდესი ნაწილი იხარჯება ისეთ საერთო-ეროვნულ საჭიროებათა დასაფინანსებლად, როგორიც არის განათლება, ჯანმრთელობა, კულტურა, მეცნიერება, თავდაცვა, სოფლის მეურნეობა, საგარეო ურთიერთობა და სხვა. ამავე დროს სახელმწიფო ფიქსის (გადასახადებიდან შემოსული სახსრები ბიუჯეტში) საშუალებით გავლენას ახდენს საშინაო ეკონომიკურ კონიუნქტურაზე, პირველ ყოვლისა, მოთხოვნილება-მიწოდების ბალანსის შესანარჩუნებლად.

საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანი გამოყენებით შესაძლებელია არსებითი ხასიათის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების დინამიკაზე, სტრუქტურაზე, ტემპებზე. თუ ხელისუფლება საჭიროდ ჩათვლის რომელიმე რეგიონის დაჩქარებულ ეკონომიკურ განვითარებას, შეუძლია შეამციროს ან გარკვეული ხნით გაათავისუფლოს გადასახადებისგან ის ფირმები და კონცერნები, რომლებიც კაპიტალს დააბანდებენ აღნიშნულ რეგიონში, მისცეს მათ შეღავათიანი სესხები. ანალოგიური მეთოდით ხელისუფლებას შეუძლია დააჩქაროს სახალხო მეურნეობის რომელიმე კონკრეტული, გარკვეულ ეტაპზე პრიორიტეტული დარგის განვითარება.

დასავლეთის ქვეყნებში საგადასახადო პრობლემებთან დაკავშირებით გამოკვეთილია ორი ურთიერთდაპირისპირებული აზრი. ერთნი (ძირითადად, ვინც სოციალურ დახმარებას საჭიროებს) თვლიან, რომ გადასახადების და, შესაბამისად, სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ასიგნებების ზრდა ბუნებრივი პროცესია იმ საზოგადოებისათვის, სადაც სიცოცხლის ხანგრძლივობის შესაბამისად იზრდება ხარჯები საპენსიო უზრუნველყოფისათვის, დასაქმების შემცირების პარალელურად — უმუშევართა დახმარებისათვის, განქორწინებათა ზრდის შესაბამისად — მარტოხელა მშობლების დახმარებისთვის და სხვა. მეორენი (ძირითადად ისინი, ვის ხარჯზეც იზრდება გადასახადების რაოდენობა) თვლიან, რომ ხელისუფლება უსამართლოდ იქცევა, როცა მეტისმეტად დიდ სახსრებს ართმევს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც მატერიალურ ფასეულობას ქმნის, და აძლევს მათ, ვინც არაფერს აწარმოებს. შედეგად მოსახლეობის დიდ ჯგუფებს უჩნდება სხვის კმაყოფაზე ცხოვრების მისწრაფება, ნაკლები შრომით ცხოვრების შანსი, ხოლო მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს ხელიდან ეცლება მატერიალური საფუძველი შემდგომი აქტიურობისათვის.

დღეისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით მსოფლიოში გადასახადის ყველაზე გავრცელებული სახეებია: გადასახადი პირადი შემოსავლიდან; გადასახადი საწარმოს მოგებიდან; გადასახადი უძრავი და მოძრავი ქონებიდან, მოხმარების და სოციალური უზრუნველყოფისათვის. ეს აუცილებელი, ძირითადი ფორმებია, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში მათი რაოდენობა 10-დან 20-მდე მერყეობს. გადასახადების ამ მრავალრიცხოვან ფორმებს საერთაშორისო სტატისტიკა აერთიანებს ორ ძირითად ჯგუფად — პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად. პირველ ჯგუფში შედის გადასახადები მოსახლეობის შემოსავლიდან და კორპორაციების მოგებიდან, აგრეთვე სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდებში აუცილებელი შენატანები. მეორე ჯგუფში — გადასახადი გაყიდვაზე (დასავლეთის ქვეყნებში დამატებითი ღირებულების გადასახადს უწოდებენ) და სპეციალური გაზრდილი გადასახადი — ე. წ. აქციზი, ძირითადად თამბაქოს ნაწარმსა და სპირტიან სასმელებზე.

პირდაპირი გადასახადების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია გადასახადები პირად შემოსავლიდან. ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახადის ეს სახეობა (გადასახადების საერთო ჯამთან შეფარდებით) აღწევს 35, იაპონიაში — 28 პროცენტს. მაქსიმალური გადასახადი ყველაზე მაღალ შემოსავალზე საფრანგეთშია — 56 პროცენტი. ამ ქვეყანაში 18 მილიონი ოჯახი იხდის პროგრესულ საშემოსავლო გადასახადს, რომლის ზომა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და საბიუჯეტო შემოსავლის დაახლოებით ერთ მეხუთედს შეადგენს. ყოველი წლის თებერვლის დამლევს საფრანგეთის მოქალაქე ვალდებულია შეავსოს ერთი ან რამდენიმე მრავალგვერდიანი დეკლარაცია საკუთარი შემოსავლის შესახებ, სადაც აისახება ანაზღაურების ყველა ფორმა — ხელფასი, ჰონორარი, შემოსავალი უძრავი (სახლი, ბინა, მიწის ნაკვეთი) და მოძრავი (აქციები, ობლიგაციები, ფულის პროცენტები) ქონებიდან. ამის შემდეგ შემოსავლის ჯამიდან გადასახადის შემცირების მიზნით უნდა გამოირიცხოს ზოგიერთი თანხა, რომელიც შეესაბამება კმაყოფაზე მყოფი პირების რაოდენობას, პროფესიულ ხარჯებს, ბანკის სესხის პროცენტს, წარმოების განვითარებისათვის ჩადებულ სახსრებს.

შეღავათები გადასახადებში დაწესებულია რიგი პროფესიებისათვის: მოსამსახურეები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები და სხვ. მაგალითად, 5 წლის განმავლობაში შეღავათი ეკუთვნის იმ მოქალაქეს, ვინც ბინას შეიძენს და ამისთვის აიღებს ბანკის სესხს. გარკვეული რაოდენობით უმცირდება გადასახადები იმათაც, ვინც მოხუც მშობლებს ეხმარება ან იხდის ალიმენტს. ქველმოქმედება, მეცენატობა (მათ შორის პროფკავშირებისა და პოლიტიკური პარტიებისადმი დახმარება) დიდ შეღავათებს გულისხმობს გადასახადებში.

განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემები უამრავ ნიუანსს ითვალისწინებს. მაგალითად, ბინის დამქირავებელმა შეაკეთა სახლის გათბობის სისტემა — მას ეკუთვნის დანახარჯების ეკვივალენტური შეღავათი გადასახადებში, რადგან ამით ელექტროენერგია დაიზოგება. დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორებისათვის (საფრანგეთი 50-იან წლებში დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დადგა, ისეთი ტემპებით მცირდებოდა ახალშობილთა რაოდენობა) ჯერ კიდევ დე გოლის მმართველობის პერიოდში დაინერგა შეღავათების სისტემა შვილიანი ოჯახებისათვის. ამ სისტემის ერთი ნიუანსი: უშვილო ფრანგი მამაკაცის შემოსავლიდან, თუ ის 10 ათასი ფრანკის ფარგლებშია, გადასახადებს მოხმარდება დაახლოებით ერთი მესამედი; იგივე შემოსავლის მქონე ფრანგი, რომელსაც მეუღლე და ორი შვილი ჰყავს, საერთოდ თავისუფლდება გადასახადებიდან. აქ საინტერესო მომენტია ის, რომ მამაკაცის ანაზღაურებაზეა ლაპარაკი, თორემ შობადობის სტიმულირების ფორმები ბევრ ევროპულ ქვეყანაშია დანერგილი, რაც ცალკე საუბრის თემაა.

**საგადასახადო პოლიტიკის მთელი სირთულე იმაშია, რომ ქვეყნის მასშტაბით, მთლიანად საზოგადოების სასარგებლოდ შეახამოს მათი ინტერესები, ვისაც ართმევს და ვისაც აძლევს.**

იმისათვის, რომ უფრო ზუსტი წარმოდგენა შეგვექმნას გადასახადების ხვედრით წილზე ნომინალური ხელფასის რაოდენობაში, გავეცნოთ რამდენიმე ევროპული ქვეყნის სტატისტიკას ფულადი გამოხატულებით. შვედეთში საშუალო ნომინალური ხელფასი 2000 დოლარია, პირდაპირი გადასახადები (საშემოსავლო და სოციალური დაზღვევის) — 570 დოლარი. სხვა ქვეყნებში ასეთი თანაფარდობაა: იტალიაში — 1700 და 850; ბელგიაში — 1675 და 480; ესპანეთში 1125 და 225; საბერძნეთში — 775 და 110; თურქეთში — 500 და 80 დოლარი.

რა მდგომარეობა იყო ამ სფეროში ყოფილ საბჭოთა კავშირში? შეიძლება ამ საკითხზე ყურადღების შეჩერება დღეს არც ღირდეს, რომ არა ერთი გარემოება. ოფიციალურად მიღებული იყო აზრი, რომ გადასახადები საბჭოთა კავშირში ყველაზე დაბალია.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ხელფასიდან ამოღებული გადასახადი მერყეობდა 10-13 პროცენტის ფარგლებში. ერთი შეხედვით, მით უმეტეს, თუ განვითარებული ქვეყნების ზემოაღნიშნულ მონაცემებს შევუდარებთ, საშემოსავლო გადასახადი მართლაც დაბალია. მაგრამ ხელფასის უაღრესად დაბალი დონე მეტი გადასახადის შესაძლებლობას არ იძლეოდა. 1988 წელს ამ გზით გადასახადმა ბიუჯეტს მისცა 33,6 მილიარდი, ხოლო 1989 წელს 41,7 მილიარდი მანეთი. მაგრამ ჩვენ ყველანი ვიხდიდით კიდევ ერთ, გაცილებით დიდ, მაგრამ შეუმჩნეველ გადასახადს პირდაპირ მაღაზიაში, როცა ვყიდულობდით წრეგადასული დარიცხვებით პირველი მოთხოვნილების საქონელსაც კი. დიდ უპირატესობად ითვლებოდა ისიც, რომ ჩვენში არ არსებობდა გაყიდვის გადასახადი, რომელიც მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში შემოვიდა „პრეზიდენტის 5 პროცენტის" საჩოთირო სახელწოდებით. სპეციალისტებისათვის ნათელი იყო, რომ ამ ფუნქციას ზემოაღნიშნულ დარიცხვებთან ერთად „დიდი წარმატებით" ასრულებდა ბრუნვის გადასახადი.

საზოგადოებისათვის ეს გადასახადი თითქოს უმტკივნეულო იყო, რადგან ნაკეთობის ფასში შედიოდა და დამოუკიდებელ გადასახადად არ აღიქმებოდა. მეტიც, მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის ამ გადასახადის არსი და მიზნები გაუცნობიერებელი იყო. ხელისუფლებისათვის კი სრულიად კონკრეტული ფუნქცია ეკისრებოდა და მასშტაბიც სოლიდური ჰქონდა: 1988 წელს ამ გადასახადით სახელმწიფო ხაზინამ 101 მილიარდი მანეთის შევსება მიიღო, 1989 წელს კი 111,1 მილიარდი მანეთი.

მკითხველის ყურადღებას მივაქცევ მოსახლეობის შემოსავლიდან პირდაპირი ,აშკარა (საშემოსავლო გადასახადი) და დაფარული, ვითომ უმტკივნეულო (ბრუნვის გადასახადი) რაოდენობრივ თანაფარდობას და აშკარა გახდება საბჭოთა საგადასახადო სისტემის პრინციპები, ამას უნდა დაემატოს მოსახლეობის მცირე შემოსავლიდან სახსრების ამოღების კიდევ ერთი არხი — სოციალური დაზღვევის სახსრები, რომელმაც 1988 წელს 28,6 მილიარდი მანეთი შეადგინა. თუ შევაჯამებთ იმ სახსრებს, რაც მშრომელთა ხელფასიდან ამოიღებოდა სხვადასხვა გადასახადებით, აღმოჩნდება, რომ მიუხედავად მინიმალური ხელფასისა, სახელმწიფოს მიჰქონდა პირადი შემოსავლის 50 პროცენტზე მეტი, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. სწორედ ეს გარემოება იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ სახელმწიფო ჩვენში ყველა ექსპლოატატორზე დიდი ექსპლოატატორი იყო.

ფარული ან არაპირდაპირი გადასახადების პრაქტიკა დასავლეთის ქვეყნებშიც არის გავრცელებული. მაგალითად, იგივე საფრანგეთში ბიუჯეტის თითქმის ნახევარი ივსება არაპირდაპირი გადასახადებით, პირველ რიგში კი „დამატებითი ღირებულების გადასახადით". ამ გადასახადებს უჩინარსაც უწოდებენ, რადგან შედის ნებისმიერი საქონლის ფასში და მას მომხმარებელი იხდის უშუალოდ მაღაზიებში, რესტორნებში, სავაჭრო ცენტრებში, მომსახურების სხვა სფეროებში. ეს სისტემა საფრანგეთში დაინერგა 50-იან წლებში და დასავლეთში მას ფრანგულ გამოგონებად თვლიან. მაგრამ გასათვალისწინებელია შემდეგი: 1. განსხვავებით დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისაგან, საფრანგეთის საგადასახადო პოლიტიკა ბიუჯეტის შევსებას ძირითადად ახდენს არა საშემოსავლო, არამედ მოხმარების გადასახადით; 2. „დამატებითი ღირებულების გადასახადი" საფრანგეთში მკაცრად დიფერენცირებულია, ყველაზე მაღალი — 22 პროცენტი გადაიხდება ფუფუნების საგნების, ავტომობილების, ალკოჰოლიანი სასმელების, თამბაქოს ნაწარმის შესყიდვისას, და ყველაზე დაბალი — 2,1 პროცენტი პურის შეძენისას. საკვებ პროდუქტებს, სამკურნალო საშუალებებს, წიგნებს ემატება ღირებულების 5,5 პროცენტი; 3. არაპირდაპირი გადასახადების დიდი ხვედრითი წილი საფრანგეთში ასატანია იმის გამო, რომ ხელფასთან თანაფარდობით პირდაპირი გადასახადები ევროპაში და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია — საშემოსავლო გადასახადი — 6 პროცენტი, გადასახადი სოციალური დაზღვევისათვის — 8 პროცენტი, ჯამი ხელფასთან 14 პროცენტია.

პირდაპირი გადასახადების მეორე მთავარი შემადგენელი ნაწილია კორპორაციებიდან (ფირმებიდან, კომპანიებიდან და სხვა) მიღებული მოგების გადასახადი. ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი ბიუჯეტის შევსების წყაროებში განსხვავებული მიდგომის გამო მოგებიდან გადასახადის რაოდენობა განსხვავებულია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახადების საერთო ჯამთან თანაფარდობით მოგებიდან გადასახადი შეადგენს 8 პროცენტს, იაპონიაში კი — 24 პროცენტს. მაგრამ ეს გაშუალებული პროცენტებიც საქმის არსს ზუსტად ვერ გადმოსცემენ, რადგან ყველა განვითარებულ ქვეყანაში წარმოებიდან მიღებული მოგების გადასახადი დიფერენცირებულია და დამოკიდებულია მოგების განაწილების მიმართულებებზე. საფრანგეთში თუ მიღებულ მოგებას კორპორაცია „ჯიბეში იდებს" ე. ი. ანაწილებს აქციონერებსა და მოსამსახურეებზე დამატებითი ხელფასის ან პრემიის სახით, მაშინ გადასახადი შეიძლება იყოს მაღალი, მოგების 42 პროცენტი. მაგრამ თუ მოგების ნაწილი ხმარდება წარმოების გაფართოებას, მის მოდერნიზაციას ან რეკონსტრუქციას, გადასახადი შეიძლება იყოს გაცილებით დაბალი — მოგების 34 პროცენტი.

არაპირდაპირი გადასახადების ძირითადი ფორმა დასავლეთში არის გადასახადი გაყიდვაზე. 1988 წლის მონაცემებით მისი პროცენტული თანაფარდობა ხელფასთან ასეთ სურათს იძლევა: ყველაზე მაღალი პროცენტი ჰქონდა ისრაელსა და ფინეთს — 20, შემდეგ მოდის ნორვეგია — 18,5, შემდეგ ქვეყნების ჯგუფი 17 პროცენტით — ირლანდია, კანადა, შვედეთი; ავსტრიისა და საფრანგეთის მაჩვენებელია 16,5 პროცენტი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს მაჩვენებელი უდრის 8,5, იაპონიაში 7,5, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 13, იტალიაში 16 პროცენტს.

---

დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 67, 71.

### ჩვენი ერთი პუბლიკაციის გამო

# სად არის გამოსავალი?

## რედაქციას უპასუხებენ რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროდან

8 აპრილის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ი. ქანაშვილის წერილი „ასეთ მომსახურებას სულ არმომსახურება სჯობია", რომელშიც ავტორი ჩიოდა, თუ რა დიდი გაუთვალისწინებელი ხარჯით და წვალებით იმგზავრა მრავალდარგოვანი მცირე საწარმო ფირმა „გრაალიდან" თურქეთში ტურისტად წასულმა, აქეთობას კი მთლად უარესი — მან და კიდევ ხუთმა მგზავრმა იქ ნაყიდი ნივთებით სავსე ჩანთები დაკარგეს.

რედაქციამ წერილს მინაწერი გაუკეთა, რომელშიც ნათქვამი იყო, აბა შევხედოთ, როგორ გამოგვეხმაურებიან ის ორგანიზაციები, რომლებსაც კრიტიკა ეხებაო.

კრიტიკის ძირითადმა ადრესატმა ფირმა „გრაალმა", რომელსაც წერილის ავტორი უჩიოდა დიდი გასამრჯელოს ფასად თითქმის არაფერს შვრებიან მგზავრთა ნორმალური მომსახურებისათვისო, გამოხმაურება არ დააგვიანა, თუმცაღა კონკრეტულ კრიტიკაზე კონკრეტული პასუხის ნაცვლად თავისი დაიჩემა, ჩვენთან „ყველა პირობაა შექმნილი მგზავრთა კეთილმომსახურებისთვისო". ამის დასტურად „გრაალს" კოლექტიური წერილის ორგანიზაციაც არ დაუზარებია. სინამდვილეში კი პუბლიკაციაში დასმული საკითხი ერთობ მწვავე და დროულად გადასაწყვეტი რომ არის, ამას ადასტურებს პასუხიც, რომელიც რედაქციამ რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროდან მიიღო. სამინისტროს მოგზაურობისა და ექსკურსიების გაერთიანების დირექტორი ჯუმბერ მარლანია გვწერს:

„ვფიქრობთ, გაზეთის მიერ წამოჭრილი პრობლემა დროულია, რადგან ანალოგიური ზეპირი თუ წერილობითი განცხადებებით მოქალაქეებს ხშირად მოუმართავთ სპორტისა და ტურიზმის სამინისტროსათვის; მაგრამ იმის გამო, რომ ტურისტული კოოპერატივები, ასოციაციები, ფირმები სამინისტროს არ ექვემდებარება, მომჩივანთ პრაქტიკულად ვერ ვეხმარებით.

გვსურს შემოგთავაზოთ ზოგიერთი მოსაზრება აღნიშნულ თემაზე. თან აქვე გამოვთქვამთ მზადყოფნას საწინააღმდეგო აზრის გააზრებისა თუ გაზიარებისათვის.

დავიწყოთ იმით, თუ ვინ აკეთებს ტურისტების უცხოეთის ქვეყნებში გაყვანის ორგანიზაციას. სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს სისტემაში ორმოცდაათამდე სახელმწიფო ორგანიზაცია შედის. პარალელურად ასეთივე საქმიანობით დაკავებულია ორასზე მეტი ტურისტული და მრავალდარგოვანი კოოპერატივი, ასოციაცია და ფირმა. თუმცა იმის ფაქტებიც არის, რომ ანალოგიური საქმე შემთხვევითი, არაოფიციალური პირებისათვის ხელმისაწვდომია. კონტროლი ამ საკითხზე პრაქტიკულად არ არსებობს.

ჩვენ დავინტერესდით ამ საქმით და გამოვარკვიეთ, რომ ტურისტული კოოპერატივები, ასოციაციები და ფირმები, რომლებშიც მომუშავე პირთა აბსოლუტური უმრავლესობა არაპროფესიონალია, პრაქტიკულად დაკავებულნი არიან მხოლოდ რესპუბლიკის მოსახლეობის უცხოეთის ქვეყნებში (ძირითადად თურქეთში) მოგზაურობის ორგანიზაციით, რასაც უმეტეს შემთხვევაში, არავითარი საერთო არა აქვს ტურიზმთან და რესპუბლიკის ავტორიტეტის შემლახავი არასასურველი „კომერციული" ელფერი აქვს.

ამიტომაც დღეს ჩვენთან უცხოეთში „კომერციული ტურიზმის" ბუმია. საქართველოდან თურქეთში, რუმინეთში, სირიაში, ირანში მიემართება სამრეწველო საქონლით სალონგავსებული ავტობუსები და საქონელთან ერთად მიაქვთ საქართველოს სირცხვილი.

კი, დღეს ჩვენთან ჩასაცმელ-დასახურავის, და საერთოდ ყველაფრის, ნაკლებობაა. მაგრამ ამას ერის სახელი ზედ ხომ არ უნდა გადავაყოლოთ. მაგრამ ეს მაინც თითოეული ადამიანის პირადი საქმეა. აი, კანონის დაცვა კი სახელმწიფო და სხვა ოფიციალური ორგანიზაციების მოვალეობაა; ასე მაგალითად, ტურისტულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ტურისტული მოგზაურობები ტრანსპორტის, სასტუმროების, კვების, ექსკურსიების, სამედიცინო მომსახურების გარანტიებით; რესპუბლიკის ავტოინსპექციის მომსახურეებმა არ უნდა გაატარონ ნორმაზე მეტად დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ხოლო საბაჟოს პერსონალმა არ უნდა დაუშვან კანონით დადგენილ ნორმებზე მეტი საქონლის გატანა საზღვარზე. ესე იგი ყველამ თავის საქმე პირნათლად აკეთოს. სინამდვილეში კი როგორ არის საქმე?! აი ერთი კოპერატივის შინაური გაანგარიშება: 1. პასპორტი — 500 მანეთი; 2. ავტობუსი — 20 000 მანეთი (ჯგუფზე); 3. მძღოლი — 300 დოლარი და 10 000 მანეთი; 4. ჩვენი საბაჟო — 10 დოლარი და 1000 მანეთი; 5. თურქეთის საბაჟო — 15 დოლარი+მძღოლის 10 დოლარი; 6. სასტუმრო თურქეთში — 3 ღამე 12 დოლარი; უკანა გზაზე, თურქეთის საბაჟო+1 დოლარი; 8. თურქეთის საბაჟო — „მალბოროს" 8 ბლოკი; 9. ინსპექცია — 18000 მანეთი (ჯგუფზე); 10. რეკეტი — 8000 მანეთი (ჯგუფზე); დანარჩენი უბრალო არითმეტიკის საქმეა და არა მხოლოდ არითმეტიკის, ისე რომ წერილის ავტორი, ქალბატონი იზოლდა, კიდევ კარგად გადარჩენილა.

სად არის გამოსავალი?

პირველ რიგში, უნდა შევთანხმდეთ, რომ ტურიზმის დარგში, ისევე როგორც ყველა სხვა დარგში, პროფესიონალები უნდა მუშაობდნენ. სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო ამ საქმეში უკვე დგამს კონკრეტულ, პრაქტიკულ ნაბიჯებს; შეიქმნა მომზადებისა და გადამზადების სპეციალური კურსები, იქმნება ტურიზმის ფაკულტეტი ფიზკულტურის ინსტიტუტში, იქნება ჩვენი სპეციალისტების სტაჟირებები უცხოეთის ქვეყნების ტურისტულ ფირმებში; გვეყოლებიან უცხოელი სპეციალისტი ექსპერტები. მთავარია მოვინდომოთ, მთავარია, ვისწავლოთ ის, რაც არ ვიცით და უნდა ვიცოდეთ!

მეორე, და ძირითადი: უნდა ჩამოყალიბდეს რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარების ერთიანი პოლიტიკა და კონცეფცია. უნდა გადაწყდეს ტურიზმის რეგულირების საკითხი. აქ მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორებმა და საერთოდ ჩვენ, სახელმწიფო სტრუქტურები სრულებითაც არა ვართ წინააღმდეგნი კერძო სექტორის, კოოპერატივების, ფირმების არსებობისა. პირიქით, გვინდა ჩამოყალიბდეს ურთიერთობის დემოკრატიული ფორმები. მით უმეტეს, რომ ტურიზმის დარგში ჰააგის 1989 წლის საპარლამენტთაშორისო კონფერენციის დეკლარაციის მესამე პრინციპში შავით თეთრზე წერია: „უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობა, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე". ვფიქრობთ, საქართველოს მთავრობამ სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს უნდა დაავალოს ყოველივე ამ საქმის რეგულირება. მხოლოდ არ გვინდა ვინმემ იფიქროს, სამინისტრო გავლენის სფეროს გაფართოებისაკენ ისწრაფვისო. სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო ცდილობს მაქსიმუმი თავისუფლება მიანიჭოს მისდამი დაქვემდებარებულ სახელმწიფო ორგანიზაციებსაც კი. მაგრამ აბა, ასე ვთქვათ: თუკი მთელ რიგ სამინისტროებს ევალებათ მათი სფეროს პროდუქტების წარმოებაზე ლიცენზიების გაცემა, ესე იგი კონტროლი, ჩვენი პროდუქტი ხომ ტურისტული მოგზაურობებია და რატომ არ უნდა ვარეგულიროთ ეს საქმე. ჩვენ, დარწმუნებულნი ვართ ამ შემთხვევაში კერძო სექტორიც უფრო მომგებიანად, კანონიერად და ეფექტურად იმუშავებს.

მესამე და ყველაზე მთავარი: ტურისტებს და საერთოდ მოსახლეობას შესაბამისმა ორგანიზაციებმა დროულად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მოგზაურობის პროგრამის, ფასების, საბაჟო წესების, სამოგზაურო ქვეყნის კანონებისა თუ ადათ-წესების შესახებ, მაშინ, ჩვენი აზრით, აღარ მოხდება ის უმსგავსობა, რაც ახლა ხდება ვთქვათ თურქეთში.

რაც შეეხება რესპუბლიკის გზებზე ტურისტული ჯგუფების უსაფრთხოების გარანტიებს, ხომ ვიცით, რომ ტურისტული ავტობუსები კრიმინალურ ელემენტთა მხედველობის და ყურადღების არეშია მოქცეული, იმედი გვაქვს შინაგან საქმეთა სამინისტრო გამონახავს ამ პრობლემების გადაწყვეტის გზებს.

ეს ყოველივე საკითხის ერთი მხარეა. მეორე მხარეა ჩვენთან ჩამოსული სტუმრების დახვედრის პრობლემა. ალბათ, მალე გამოიდარებს (მარტო ზაფხულის დადგომას არ ვგულისხმობ) და საქართველოს ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე, ბევრი უცხოელი მოიწადინებს ჩვენთან სტუმრობას. თავი დავანებოთ იმას, რომ ჩვენი ტურისტული მატერიალური ბაზა კრიტიკას ვერ უძლებს და დიდ სახსრებსა და შრომას მოითხოვს. ეს ცალკე სასაუბრო თემაა. სხვა რამ ვთქვათ. განა შეიძლება ჩვენთან ჩამოსულ ტურისტებს საბაჟოებში ისევე შევხვდეთ, როგორც აქედან გასულ ჩვენს მოქალაქეებს ვუშვებთ, ანდა ავტოინსპექციის საგუშაგოებზე უცხოური ავტობუსებისათვის სხვა ტარიფები დავაწესოთ?! ამ მხრივაც ბევრი გვაქვს საზრუნავი.

ვისარგებლებ შემთხვევით და მოსახლეობას შევახსენებ, რომ სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, მისი სამსახურები: ტურიზმისა და მოგზაურობის და ექსკურსიების გაერთიანებები, კომერციულ-ტურისტული ფირმები „გავაზი" და „კაბადოკია", ტურისტული სააგენტოები სულ მალე იწყებენ თურქეთსა და გერმანიაში თვითმფრინავით ტურისტული მოგზაურობების ორგანიზაციას. ჩვენი მიზანია ეს მოგზაურობები ნამდვილი ტურიზმის ყველა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდეს".

### ტელევიზია

# ხელი შეუწყეთ პროგრამა „ინტელექტს!"

მალე საქართველოს ტელევიზია შემოგვთავაზებს ახალ, შემეცნებით-გასართობ პროგრამა „ინტელექტს", ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან ეკა ლეჟავასთან საუბარში ამ პროგრამის დაფუძნების ერთ-ერთმა ინიციატორმა, საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის რექტორმა გია მურღულიამ განაცხადა:

— დღეს ყველასთვის ცხადია, რომ ჩვენი განათლების სისტემა უკიდურესად კრიზისულ მდგომარეობაშია. ამ ფაქტის კიდევ ერთხელ დადასტურება არაფერს მოგვცემს, მოქმედებაა საჭირო. მაგრამ უპერსპექტივოდ რომ არ ვიმოქმედოთ, სრულად უნდა გავაცნობიეროთ, თუ რატომ აღმოვჩნდით ესოდენ სავალალო მდგომარეობაში.

რა არის ჩვენი დღევანდელი გაჭირვების, გახშირებული ძალადობის, ზნეობის დაცემისა და სავალალო დაპირისპირების, ჩვენი ეროვნული ტრაგედიის უმთავრესი მიზეზი? საზოგადოების განათლების ძალიან დაბალი დონე!

მასწავლებლების დიდი ნაწილი არ გვივარგაო, ვამბობთ. რა სტიმული აქვთ მათ თვითსრულყოფისა? თითქმის არაფერი!

მოსწავლეებს სწავლა არ უნდათო, — ვამატებთ.

საზოგადოება, რომელშიც ცოდნას არანაირი სოციალური ღირებულება არა აქვს, უბედური და უპერსპექტივო საზოგადოებაა. ამას სასწრაფოდ უნდა მოვუაროთ, თორემ 21-ე საუკუნე გაგვთელავს!

დღეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ისე ავაწყოთ საქმე, რომ საზოგადოებრივ შეგნებაში დიდი გარდატეხა მოხდეს — კარგა ხნის „შესვენების" შემდეგ ადამიანთა ცნობიერებაში ერთმანეთს დაუკავშირდეს ორი ამჟამად პოლარული ცნება: განათლება და კეთილდღეობა. ცოდნა აუცილებლად მომგებიანი უნდა გახდეს. რაც მომგებიანი და სასარგებლო არ არის, ყურადღების მიღმა რჩება ყოველთვის.

ყველაფერს ამას ხანგრძლივი, მრავალსახოვანი და მიზანმიმართული მოქმედება სჭირდება.

ახალი სატელევიზიო პროგრამის დაარსება, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ცოდნის შეძენის იმპულსის გაღვივებას.

ახლა თვით პროგრამის შესახებ.

ოთხკაციანი გუნდები ერთმანეთს შეეჯიბრებიან სამშობლოსმცოდნეობაში. კონკურსის პირველი ციკლის საფუძვლად „ვეფხისტყაოსანი" გამოვაცხადეთ. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით გაიმართება, ალბათ, და ბოლო ეტაპზე გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სოლიდური ფულადი და სხვა სახის პრიზებით. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ცოდნა პიროვნებას რეალურ და საგრძნობ მოგებას მოუტანს. პროგრამის საორგანიზაციო ჯგუფს, რომელშიც რამდენიმე, საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი სპეციალისტი შედის, უკვე მოფიქრებული აქვს სატელევიზიო გადაცემის სცენარი, მრავალფეროვანი და საინტერესო კონკურსები, სერიოზული და გონებამახვილური კითხვები და ა. შ. საქართველოს ტელევიზია, თავის მხრივ, მზად არის მოამზადოს ეს კონკურსი. უკანასკნელ ხანს ჩვენ ძალიან მოგვეძალა კინო თუ ტელეეკრანებზე კუნთმაგარი ბიჭების საარაკო თავგადასავლების დემონსტრირება (რაც ხანდახან თავისთავად საინტერესო საყურებელიცაა), მაგრამ დამერწმუნეთ, არაფერი ისე არ გაიტაცებს ადამიანს, როგორც ღირსეული ინტელექტუალური პაექრობა, აქ ხშირად იმდენი დრამატიზმი და შინაგანი დაძაბულობაა, არ შეიძლება მაყურებელი გულგრილი დარჩეს.

ამ კონკურსის საფუძვლად შემდგომ ეტაპზე იქნება „ქართლის ცხოვრება", ბიბლია; მომდევნო ჯერზე შეიძლება დაემატოს ეკონომიკა, სპორტი და ა. შ. ამ პროგრამამ უნდა შეიძინოს უზარმაზარი საგანმანათლებლო მნიშვნელობა.

ჩვენ გვსურს მივმართოთ ყველას, ოფიციალურ თუ კერძო პირებს, სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებს:

ქალბატონებო და ბატონებო! ხელი შეუწყეთ პროგრამა „ინტელექტს"! ეს იქნება ჭეშმარიტად კეთილი და ეროვნული საქმე. ამ პროგრამაში მონაწილეობის მსურველებსა და სპონსორებს ვთხოვთ მობრძანდნენ საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის კანცელარიაში. (მისამართი: დავით აღმაშენებლის ქ. № 178" ან დაგვიკავშირდნენ ტელეფონით: 34-11-34).

მონაწილე გუნდებმა განაცხადი უნდა შემოიტანონ ამა წლის 16 მაისამდე, ხოლო წილისყრა და შეჯიბრების პირობების გაცნობა მოხდება გუნდების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, რომელიც დაგეგმილია 19 მაისს დღის 12 საათზე ზემოხსენებულ ინსტიტუტში.

### გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

### ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

## გაზს კვლავ შეუფერხებლად მივიღებთ

როგორც ცნობილია, თურქმენეთის რესპუბლიკის ბუნებრივი გაზის საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებსაც თავის დროზე ვერ გადავუხადეთ ვალი, წელს საქართველოს რესპუბლიკას, ისევე როგორც სხვა რეგიონების წარმოება-დაწესებულებებს, მოსთხოვეს, რომ დაუყოვნებლივ გადაეხადათ დახარჯული გაზის დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეწყვეტდნენ ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქციის მოწოდებას.

ამ და სხვა პრობლემების წარმატებული გადაწყვეტის თაობაზე საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობაში. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გამოძებნა სახსრები და დათქმული ვადისათვის დაფარა გაზის მოხმარების შედეგად დაგროვილი დავალიანების დიდი ნაწილი.

ამით შესაძლებელი გახდა აღდგენილიყო გაზის ნორმალური მოწოდება.

თურქმენეთმა აღგვითქვა, რომ არ შეგვიწყვეტენ გაზის მოწოდებას. თუ არ გვინდა, კვლავ კრიზისულ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, ბუნებრივი გაზის მომხმარებლებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ დროულად დაფარონ დახარჯული სათბობის ღირებულება.

## ფრანგული კინოშედევრები ქართულ ეკრანზე

ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა კლუბში „ნატვრის ხე" გაიხსნა ფრანგული ფილმების რეტროსპექტივა. მის აფიშაში შევიდა ისეთი ფილმები, რომლებმაც მოიპოვეს აღიარება საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის ეკრანებზე და ბედის ნება-სურვილით დარჩნენ „თეთრ ლაქებად" ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების კინოაფიშებზე.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის კულტურულ-კომერციული ცენტრის „მთვარის გლობუსის" წყალობით თბილისის, რესპუბლიკის სხვა რეგიონების კინოხელოვნების მოყვარულებს მიეცათ შესაძლებლობა გაეცნონ საფრანგეთის კინოშედევრებს. 7 მაისს უჩვენეს ანის ვარდის ფილმი „ქმნილებანი". დათვალიერების პროგრამაში შეტანილია ფილმები: ლუი მალისა — „მბჟუტავი ჩირაღდანი", პრესონის — „ბულონის ტყის ქალბატონები", ბუნუელის — „მოახლის დღიური" და ალენ რენეს ფილმი „შარშან მარიენბადში".

### ეს ჩვენი საქართველოა!



გოგიტა.

სანდრო მამასახლისის ფოტო.

### ● თეატრი

# აღდგება, ნამდვილად აღდგება!

ნათქვამია, არა პურითა ხოლო ცხონდების კაციო. — ასეც არის. ახლა, როცა დღენიადაგ ხარჩოს ძიებაში ვართ, ნათლად ვგრძნობთ იმასაც, რომ, თურმე უფრო დიდი გასაჭირი — სულის გასაჭირი დაგვდგომია ქართველებს.

განვლილი ერთი წლის მანძილზე, მართლაც, ისე გახევდა სული, ისე დაკნინდა ზნეობა, ისე გაქრა სიყვარული და თანადგომა, რომ სიმღერა რომ სიმღერაა, ისიც კი გვეხამუშება, აღარ გვიზიდავს; დავივიწყეთ და მივატოვეთ თეატრი თუ სხვა სანახაობანი, ფეხბურთსაც კი შეველიეთ.

— რა მოხდა? — ვეკითხებით საკუთარ თავს და რატომღაც ამ კითხვაზე პასუხს სხვისგან მოველით.

მოხდა ის, რომ ამ ცოტა ხნის წინათ მეთოდურად, თანამიმდევრულად და მიზანმიმართულად მოგვგლიჯეს ხელოვნებას, სულიერ ღირებულებებს, რათა ამაღლებაზე, სილამაზესა და ჭეშმარიტებაზე აღარ გვეფიქრა. აკი ამიტომაც ჩაგვირაზეს თეატრების კარი, გამოგვიკეტეს საკონცერტო დარბაზები, სამშობლოდან გადაგვიხვეწეს ჩვენი სახელოვანი რეჟისორები თუ მუსიკოსები. ერთი სიტყვით, საქმე ისე მოგვიწყვეს, რომ გონება დაგვბნელებოდა და მიტინგების, პიკეტების, დემონსტრაციებს იქით აღარ გაგვეხედა.

ახლა, უფსკრულის პირას მისულთ, თითქოს ღმერთმა გადმოგვხედა, გამოგვაფხიზლა, ჩვენი თავი დაგვანახვა, ვიგრძენით, რომ უნდა აღვდგეთ, უნდა გამოვფხიზლდეთ და ამ საქმეში, ალბათ, უპირველესი როლი ჩვენმა ხელოვნებამ უნდა იკისროს, მაშ ვინ, თუ არა თეატრი, თუ არა სიმღერა გაგვიფაქიზებს ამღვრეულ სულსა და გონებას, მოგვაბრუნებს ქვეყნისკენ, ადამიანისკენ, რომელსაც დღეს ყველაზე მეტად ვჭირდებით. — აქეთი სიტყვებითა და განწყობილებით დაიწყო კვირას თავისი შეხვედრა დუშეთის სახალხო თეატრის შენობაში შეკრებილ რაიონის საზოგადოებრიობასთან და ახალგაზრდობასთან ჩვენი სახელოვანი რუსთაველის თეატრის კოლექტივმა, რომელიც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პირველად გავიდა გასვლითი სპექტაკლით რაიონში.

სპექტაკლი საკმაოდ სტაჟიანი — ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა" გახლდათ, მაგრამ ამის მიუხედავად, მაყურებელი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა არ დაკლებია დარბაზს, სადაც ცხადად იგრძნობოდა მონატრება. ამაზე თვალნათლივ მიუთითებდა მაყურებლის რეაქცია. ამ დღეს, მართლაც, საუკეთესო სპექტაკლი ითამაშეს ჩვენმა სახელოვანმა სახალხო მსახიობებმა — გიორგი გეგეჭკორმა, ბორის წიფურიამ, კარლო საკანდელიძემ, ვიქტორ ნინიძემ, მსახიობებმა ელდარ სახლთხუციშვილმა, მზია მაღლაკელიძემ, სოსო ლაღიძემ და სხვებმა, რასაც დუშელი მაყურებლის ნამდვილი ოვაცია მოჰყვა.

— ნავსი გატყდა. დღეს ჩვენი სახელოვანი რუსთაველის თეატრი დუშელების სტუმარია, — გვითხრა დუშეთის რაიონის გამგებელმა ბატონმა უშანგ პირმისაშვილმა. მათი ჩამოსვლა და რაიონის მშრომელებთან შეხვედრა, რომ იტყვიან, ჰაერივით გვჭირდებოდა. როგორც სხვაგან, ჩვენთანაც არის გასაჭირი, მაგრამ ცხოვრებისა და შრომისთვის თავი არ მიგვინებებია. მუშაობენ საწარმოები, დაწესებულებები, სკოლები, იხვნება, ითესება მინდვრები. სადაცაა უიზლარიდან წამოვა ჩვენი ცხვარი. ახლა ყველას სიყვარული, თანადგომა და დიდი შემართება გვმართებს, რაშიც რაიონში შექმნილი ატმოსფერო უნდა დაგვეხმაროს. ამაში კი უდიდეს როლს ვაკისრებთ კულტურული ცხოვრების აღდგენას, ჩვენი ხელოვნების კვლავ ჩაბმას ხალხის სამსახურში.

დღეს რუსთაველელებს მასპინძლობს დუშეთი, მომავალ კვირას კი მარჯანიშვილის სახელობის თეატრს ველოდებით. შემდეგ ქართულ ჭიდაობაში გვაქვს დაგეგმილი დიდი ტურნირი, რომელშიც მთელი აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების სახელოვანი ფალავნები მიიღებენ მონაწილეობას. ეს ლამაზი ასპარეზობა ჩვენი უდროოდ წასული მოჭიდავეების აკაკი ოქროპირიძისა და კარლო ხულელიძის ხსოვნას გვინდა მივუძღვნათ.

გამოცოცხლდა ჩვენი სახალხო თეატრიც, რომელიც სულ მალე პრემიერას ჰპირდება დუშელებს. ერთი სიტყვით, ჩვენი ცხოვრება თანდათანობით თავის კალაპოტს უბრუნდება, რაშიც კულტურამ და ხელოვნებამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს.

ვფიქრობთ, ის, რაც კვირას მოხდა დუშეთში, რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც პოვებს ჯეროვან გამოძახილს და ასე თანდათანობით აღდგება, ნამდვილად აღდგება ჩვენი ხალხის შეხვედრები ხელოვნებასთან. ეს კი ბევრს რამეს ნიშნავს!

**გია ჭელიძე.**

### გამოსათხოვარი

## თეიმურაზ ივანიშვილი

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან და თბილისს დააკლდა კიდევ ერთი მრავალი სიკეთით შემკული ქართველი კაცი, კარგი სპეციალისტი — ინჟინერი, შესანიშნავი მოქალაქე და მამულიშვილი თეიმურაზ ნიკოლის ძე ივანიშვილი.

თ. ივანიშვილი დაიბადა 1944 წელს. 1966 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკად, ტრესტ „საქკოოპმშენის" სამუშაოთა მწარმოებლად, „თბილისწყალკანალის" გაერთიანების დირექტორად, მარნეულის რაიონის „საქმშენბანკის" მმართველად, იმავე რაიონის „საქყოფმშენის" ტრესტის სამმართველოს უფროსად, ცეკავშირის სამმართველოს მთავარ ინჟინრად, ფირმა „სიონის" დირექტორად.

1991 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი მუშაობდა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. მისი ცხოვრება უანგარო შრომისა და ზნეობრივი სისპეტაკის მაგალითია.

თ. ივანიშვილის პიროვნებაში შერწყმული იყო პრაქტიკოსი ინჟინრის და წარმოების ორგანიზატორის ნიჭი, სითბო და გულისხმიერება.

უდროოდ წავიდა ჩვენგან დაუცხრომელი ენერგიით აღსავსე, ნამდვილი ქალაქელი კაცი, ოჯახისა და მეგობრების ერთგული ადამიანი.

მისი ნათელი ხსოვნა დავიწყებას არ მიეცემა.

ქ. თბილისის მერია;
ქ. თბილისის მერიის დიდუბის რაიონის გამგეობა.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 16 მაისს.

რეკლამა ● განცხადება

„დემოკრატიისა და აღორძინების" ფონდი
აცხადებს კონკურსს

ამერიკის ჰარვარდის ბიზნესის სკოლაში შესასვლელად კანდიდატების შესარჩევად.

მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ბიზნესის სკოლაში მენეჯერების მომზადების ორწლიანი კურსის გავლის მსურველები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:
— თავისუფლად იცოდნენ ინგლისური ენა;
— ჰქონდეთ უმაღლესი განათლება (ეკონომიკური, საინჟინრო, ფიზიკა-მათემატიკური ან ქიმიური);
— ჰქონდეთ წარმოებაში პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა 5-7 წლის სტაჟი;
— ასაკი — არა უმეტეს 35 წლისა.
კონკურსში მონაწილეობის მსურველთ ვთხოვთ 20 მაისამდე მიმართონ თბილისის მენეჯერთა სკოლას მისამართით: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, № 40. ოთახი 602. ტელეფონი: 39-44-57.

●

საფრანგეთის მონპელიეს უნივერსიტეტში 1992 წლის ზაფხულში ენის შესწავლის სტაჟირებაზე კანდიდატებისა და ასპირანტების შესარჩევად.

სტაჟირების მსურველნი უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:
— იცოდნენ ფრანგული ენა, ინსტიტუტების ფრანგული განყოფილების ან უცხო ენათა ფაკულტეტების მესამე კურსის დონეზე (მეორე ენაა ინგლისური);
— იცოდნენ ინგლისური ენა, ინსტიტუტების ინგლისური განყოფილებისა ან უცხო ენათა უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტების მე-3-4 კურსის დონეზე (მეორე ენაა ფრანგული).
— ჰქონდეთ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის თანხმობა.
კონკურსის მონაწილეობის მსურველთ ვთხოვთ 1992 წლის 20 მაისამდე მიმართონ თბილისის მენეჯერთა სკოლას მისამართით: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, № 40, ოთახი 218. ტელეფონი: 39-11-30.

რეკლამა ● განცხადება

გავაზი
სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს,
ფირმებსა და კერძო პირებს

სადაზღვევო კომპანია „გავაზი" გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებია, რომელთა შექმნაც მხოლოდ „გავაზს" შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 48, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

გახსოვდეთ!

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით, „გავაზი" თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!

იაფი და საიმედო

იაპონური მიკროპროცესორით აღჭურვილი ნომრის ამომცნობი სუპერტელეფონი შეასრულებს ავტომატური მდივნის მოვალეობას და მრავალ სხვა ფუნქციას. ანალოგიურ მოდელებს შორის ის ყველაზე იაფი და საიმედოა.

გთავაზობთ ერთწლიან გარანტიას და გარანტიისშემდგომ მომსახურებას.

შემოგთავაზებთ ასევე იმპორტულ ავტომოპასუხეს.

გასაყიდად გვაქვს ტელევიზორები „ჯივისი" ბანაროსიკ, ვიდეოკომპლექტი „ფუნაი".

მისამართი: ქ. თბილისი. გ. ქიქოძის ქუჩა (ყოფილი მახარაძის) № 7/20.

კომერციული მაღაზია „იასამანი".

ტელ: 98-96-87. 11-დან 16 საათამდე, კვირის გარდა.

სარეკლამო სააგენტო „დრო".

„მოგზაური" გთავაზობთ

სამოგზაუროდ შემდეგ ქვეყნებს: თურქეთი (ფაცა-სამსუნი), პოლონეთი, თურქეთი-საბერძნეთი (სტამბული-სალონიკი), პოლონეთი-გერმანია, აგრეთვე მოგზაურობას საქართველოს ფარგლებში ნებისმიერი მარშრუტით.

საკონტაქტო ტელეფონებია: 98-97-56, 98-97-52.

მთავარი რედაქტორი ზურაბ [illegible].

მისამართი: [illegible], თბილისი, [illegible] ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები [illegible],
წერილების განყოფილება [illegible].

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ მოგვთავაზებენ.

იბეჭდება ოფსეტური წესით [illegible] კომბინატში, [illegible] ქ. № 29.

ინდექსი 64424

18